ხუთშაბათი, 1918 წ. მარტის 22 (4) № 63
წელიწადი მეოთხე
ხუთშაბათი, 1918 წ. მარტის 22 (4) № 63
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უხელმოწეროთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 18 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი სოფიო ესტატეს ასული ბეჟანიძისა, მარიამ ხრისტეფანეს ასული, ოლღა და თამარ ესტატეს ასულნი ყორღალიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ მეუღლის ხოლო მეორების ძვირფასის ძმის

ისააკ ზაალის ძის

ბედიანიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (ფომინის შესახვევი № 5). დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 22 მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ტაძარში. 2—1538—2

მარტის 18-ს, სოფელ კარდანახში, მოჰკლეს

ივანე ილიას ძე აფხაზი

და მისი ძმა

ლევან აფხაზი

პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში მარტის 22-ს 12 საათზე. (1—1542—1)

უბედური მამა ანტონი, შვილები: შუშანიკა, ქეთო, ბიძინა, ეფემია, სოფიო, თამარ, აღმზრდელი [illegible], მღვდელი ნესტორი, ბიძები: სიმონ და მიხეილ, მამიდა ელენე, ძმის წული ილიკო, ბიძაშვილი მიტროფანე კონტრიძენი, აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავთ დაუვიწყარი [illegible]

პეტრე კონტრიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მარტის 22-ს ლიხაურის ეკლესიის გალავანში. 1—932—1

მაკრინე და მაშო [illegible] გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ

თედო სახოკიას.

1—1843—1

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 25 მარტს, შუადღის 12 საათზედ დანიშნულია წევრთა წლიური კრება.

წესდების § 29 მუხლის თანახმად ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია: 1917 წ. ანგარიში, 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, ზოგიერთი მუხლის შეცვლა, მიმდინარე საქმეები. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები: მამასახლისების, ამათ კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრებისა, წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა პირებისა. (4—930—4

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

საქართველო და რუსეთი

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის კომიტეტისაგან

ქ. თბილისის კომიტეტი ამით აუწყებს თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს, რომ იგი გადავიდა ახალს ბინაზე—ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლაში. ბიურო ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათამდე ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ქართული თეატრის ალორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-მდე) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სრულიათ ახალ დასის შესადგენათ. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მონაწილე მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოთ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას. თუ რომელსამე ნიჭიერ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართული დრამატიული საზოგადოების კანცელარიაში,—რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანცელარია ღიაა დილის 10 საათიდან—2 საათამდე და ნაშუადღევს 4—6 საათამდე.

თბილისს გარეთ მცხოვრებნი შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

5—931—3 ქართული დრამატიული საზოგადოება.

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—20

ექიმი

ბ. წინამძღვრიშვილი

ყ. ასისტენტი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბომ-მონდის" პირდაპირ. თ—1018—12

ახალი სამკურნალო

20 მარტს გაიხსნა

ექიმების ხ. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცისა

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნური კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—6 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ქ. გორი

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე (ერთობის ქუჩა სახლი ზაალიშვილისა).

(10—1522—5)

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარვებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—3

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ქალანდარიშვილი

ყოფილი [illegible] ექიმი [illegible].

მკურნალობს შინაგან და [illegible] სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

ქაქალიასი

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვაიას" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ანარქია კახეთში

ანარქიის ცეცხლი კახეთსაც სდება. საზიზღარი მკვლელობა მოახდინა სოფელ კარდანახში და ბაკურციხეში. გამხეცებულს ბრბოს დაუხვრეტია რამოდენიმე „მემამულე", ისეთიც კი, რომელიც თითქმის გლეხზე უფრო ღარიბი ყოფილა. კარდანახში გლეხობა კახეთის ყველა სხვა კუთხეებზე უფრო უზრუნველყოფილია მამულით და შვიდი დესეტინიანი ნორმის შემოღება მათში თურმე დიდს უკმაყოფილებას იწვევს. ასე რომ ამ მხეცობის მიზეზად აგრარულ უთანხმოებას, ალბად, ვერ ჩასთვლიან თვით ისინიც კი, ვინც ყოველს არეულობას და ხოცვა-ჟლეტას აგრარულს ნიადაგზედ აღმოცენებულ მოვლენებად ნათლავენ.

კახეთიდან იტყობინებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს იქ სოფელ-სოფელ დაძრწიან ვიღაც ბნელი პირები, რომელნიც ამხედრებენ ხალხს ყოფილ თავად-აზნაურობისა და ყოფილ მემამულეების წინააღმდეგ. ეს პირები ხალხს არწმუნებენ თურმე, რომ თავად-აზნაურობა მალე მოიწვევს თათრებს, რომ გლეხობა ერთიანად აწიოკონ. ყოფილი მემამულეები ჯარში მთელის უკვე ჩაირიცხებიან, რომ გლეხობაზე ჯავრი ამოიყარონო.

ამ ხმებს ძალებს ამ ბინძურს საქმეში საუკეთესო საბუთად და დოკუმენტად გამოადგება ჩვენი მთავრობის გაზეთის „ერთობის" ნომრები, სადაც ყოველ დღე ასეთი პროვოკაციული ცილისწამება იბეჭდება.

და განა გასაკვირველია, რომ ამ საერთო არევ-დარევის ნიადაგზე პროვოკაციის თესლმა ასეთი ნაყოფი იძლია?

რა ზომებს ღებულობს მთავრობა, რომ ასეთი ანარქიის ცეცხლი ჩააქროს და გაძლიერების საშუალება მოუსპოს?

რად არ აჩერებს ის თავის გაზეთის წერილების ჰეროსტრატებს, რომელნიც ჯერ თვითონ თავის პარტიული მოწინააღმდეგეების შესახებ და აგრეთვე ქართველი ერის ღირსი ნაწილის წინააღმდეგ ბინძურს პროვოკაციულს ჭორებს ავრცელებენ და ისევეც ანარქიით მოცულს ქვეყანაში ხოცვა-ჟლეტის ახალს თესლს აბნევენ?

მთავრობას შესაფერისი ზომების მიღება ჰმართებს, როგორც იქ პროვინციაში, სადაც ეს საზარელი ამბები ხდება, ისე აქ, ცენტრში, საიდანაც ათასგვარი პროვოკაციული ჭორები მთელს საქართველოში ვრცელდება და იქ საშინელს ანარქიის ნიადაგს უმზადებს.

ეროვნულ საბჭოში

საქართველოს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელი სხდომა, საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა. კამათი უმთავრესად ს.-დემოკრატებსა და ს.-ფედერალისტებს შორის იყო. მაგრამ მე ყოველთვის საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ გაიმარჯვებს არა წერეთლის გონივრული სიტყვა, თუნდაც იმიტომ, რომ უკანასკნელ დროის გონება როგორღაც აღარ იმარჯვებს, არა რეხილაძის მრისხანე და გამოფხიზლებული ძახილი, არამედ ის მესამე ხაზი, რომელსაც ასე გულდადებით ჰქსოვს მესამე ომობა მთელი ჩვენი პოლიტიკისა—ჩვენი ცხოვრება. მართლაც, ვინ არის მართალი ამ კამათში: სოციალ-დემოკრატები, ს.-ფედერალისტები თუ ნაციონალ-დემოკრატები? ვამბობ ნაციონალ-დემოკრატებს, რადგანაც არსებითად კამათი გერონტი ქიქოძის სიტყვით დაიწყო. წერეთლის სიტყვა უსათუოდ ჭკვიანი იყო. მე მომწონდა მისი პასუხები ფედერალისტებისადმი:

— თქვენ ერთი უპირატესობა გაქვთ—უთხრობდა ის ფედერალისტებს,—თქვენი პოლიტიკა ჯერ არ გატარებულა ცხოვრებაში,—აი თქვენი უპირატესობა!

და მე მაგონდებოდა რუსეთის რევოლუცია, რომელმაც წერეთლის ამდენი პოლიტიკა „გაატარა" ცხოვრებაში.

საწყალი რევოლუცია და საწყალი, საწყალი წერეთელი! იმ ცეცხლში, რომელშიაც იწვის რუსეთი, წერეთელი ყველაზე ძვირფასი ნამწვია!

— თქვენ მოითხოვთ განცალკევებას—განაგრძობდა ის,—მაგრამ განა თქვენ არ იცით, რომ თავისუფალი აზერბეიჯანი და თავისუფალი სომხები ორ დღეს ვერ იცოცხლებენ, ისინი დაიწვიან ურთიერთმანეთის ცეცხლში? და განა ხელსაყრელია ეს ჩვენთვის? რომელი ჭკვიანი წაუკიდებს მეზობლის სახლს ცეცხლს—რომ ეს ცეცხლი ჩვენს სახლზეც გადმოვიდეს? ამიტომ საქართველოს განცალკევება მისაღები არ არის.

წერეთელი მართალია.

მაგრამ არის მიუღწეველი სიმართლე! განა ცხოვრებაშიც ისე უმტკივნეულოდ ლაგდებიან ამბები, როგორც ადამიანის გონებაში იდება?

წერეთელი მშვენივრად მსჯელობს ვიდრე მისი მსჯელობა თვით საგნის ბუნებას შეეხება.

მაგრამ მას ავიწყდება თავი, როცა საკითხი საგნის სტიქიონს შეეხება.

მე მგონია, რევოლუციაში სტიქიონი უფრო მეტია ვიდრე ბუნება—აი დასკვნა, რომელიც უნდა გამოეტანა მას რევოლუციიდან.

ფედერალისტები კამათობდნენ მთელი თავის ძალ-ღონით.

მათ დახატეს სასტიკი სურათი მდგომარეობისა. ზავი არ არის. ერთობა—არ ხორციელდება. ჩვენ ვიღუპებით! აი მათი სიტყვები.

და მე ვერ წარმომიდგენია უფრო იმედგაცრუებული ხალხი ვიდრე ისინი!

მათ ერთი უცნაური რამ ემართებათ.

როგორც დედამიწამ არ იცის ამბავი, რომ ის თავის ღერძის გარშემო ტრიალებს, ისე ფედერალისტებმა არ იციან, რომ მათი ტრიალის ღერძი ფედერალიზმი უნდა იყოს.

მათ სიტყვებში ფედერალიზმი არც ერთ სარკმლიდან არ იყურებოდა.

მათ გამოჰყავდათ საქართველო ამიერ-კავკასიიდან.

ეს ცოტა უცნაურია.

ამიტომ მერე ისევ შეჰყავდათ.

შეჰყავდათ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, რომლის უმთავრესი ნაწილი—მუსულმანობა—მე ისევე სიტყვით ოსმალეთისაკენ მიიწევს.

ამ დღეს მე დავრწმუნდი, რომ როგორც სოციალდემოკრატიული ცენტრალიზმი, ისე სოციალისტ-ფედერალისტური ფედერალიზმი ერთმანეთთან შეტაკებაში დაიმსხვრა.

ასეთ სიკვდილს სახელოვანი სიკვდილი ჰქვიან.

ალბათ ამიტომ მოისხნენ მტრები, რომლებიც ოცი წელიწადი ერთმანეთს მარხავენ.

მაგრამ თითონ არ დაიმარხავთ მათ ერთმანეთი, ისინი დამარხა მესამე ომობამ, რომელსაც ზევით ვამბობდი.

ეს ომობა ცხოვრებაა.

რასაკვირველია, საქართველო განცალკევებული და დამოუკიდებელი უნდა იყოს.

ასეთი იყო დაფარული აზრი წერეთლისა, ამასვე ამბობდნენ ფედერალისტებიც.

შ. ამირეჯიბი.

რუსეთის დამხობა და საქართველოს გზა

I

საფრანგეთის დიდი მეცნიერი ელიზე რეკლიუ ამბობს თავის უკვდავ თხზულებაში რუსეთის შესახებ: „როგორც ჩრდილოეთის მხრივ ხილი კარგად ვერ დამწიფდება, ისე ჩრდილოეთის ცივ ქვეყანაში მყოფი რუსის ხალხის გონება უმწიფარია პოლიტიკურად და სხვებზე ოდესმე დამწიფდებიო".

ეს სიბრძნე მეცნიერისა სავსებით გაამართლა მსოფლიო ომმა და რევოლუციამ.

დღეს ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი, დაიმსხვრა, დაიგლიჯა, დანაწილდა... დაეცა და დაიღუპა ისე, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელია. გუშინდელი ლაღი ბატონი [illegible], გუშინდელი მჭანჯველი მრავალ განათლებულ ეროვნებათა დღეს უგზო-უკვლოთ დატანტალებს რუსეთის ტიალ მინდვრებზე და ცახცახით გაურბის კაიზერის ძლევამოსილ დროშას.

უკულტურო რუსეთის დამსხვრევით გაჰქრა სამუდამოთ ევროპის საფრთხე და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიას. უზენაესმა ტეხნიკამ და მაღალმა კულტურამ დაღუპა სიბნელე და უმეცრება; პატარა ფალავანმა დასცა თიხის ფეხებზე მდგარი უზარმაზარი გოლიათი. აღიგავა ქვეყნის პირიდან ევროპის ჟანდარმი; მოისპო საუკუნოთ ულმობელი მტარვალი—აბსო-

ლიუტიზმი. ასი წლობით გვემულმა და დამონებულმა ერებმა ამოისუნთქეს თავისუფლათ...

მერე და რამ დასცა რუსეთი? რამ დაამხო უდიდესი იმპერია? იგი დასცეს და დაამხეს უმთავრესად შინაურმა და შინაგანმა მტრებმა. ეს მტრებია: თვითმპყრობელობა, რუსის ხალხის უკულტურობა, უმეცრება და მონური სული.

სამხედრო და პროლეტართა რევოლუციას რუსეთში მოჰყვა საბედისწერო მარცხი. ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდათ მუშა-მხედართა საბჭოებს და წარმოშვა ორი მთავრობა. ბურჟუაზიასთან ზერელე კავშირი და აქედან წარმომდგარი კოალიციური მთავრობა გამოდგა სუსტი, მერყევი და უძლური. მალე გაჩნდენ და მოეფინენ რუსეთს სხვა და სხვა საბჭოები, კომიტეტები და კომისარიატები. ამათ შებორკეს ხალხი, დაფუშეს ერთიანათ სახელმწიფო მექანიზმი, დაბლა დასცეს სავაჭრო, საფინანსო და სამრეწველო ორგანოებს, მით წარმოშვეს ყველგან სურსათის საარაკო კრიზისი, შიმშილი და უსაზღვრო სიძვირე, ამ სახით დააწვენ ხალხს შემხუთველ მაჯლაჯუნათ.

თავისუფლებით დამთვრალი რევოლუციურ ხალხს სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტები, ხელთ იპყრეს მძიმე საჭე და იწყეს 140 მილიონ ხალხის ბედის ტარება რევოლუციის ოკიანეს მქუხარე ტალღებში, მოიშორეს თავიდან ნიჭიერი, მცოდნე, გამოცდილი და საქმიანი კაცები, რადგან ისინი არ იყვნენ სოციალისტები; ნაცვლად მიუზიდეს საპატიო ადგილები და დიდი ჯამაგირები ნორჩს, გამოუცდელ პროპაგანდისტებს. ამ სახით გაირიყენ სახელმწიფოს შეგნებული, მოწინავე წოდებანი, სათავეში ჩადგენ მოუმზადებელი პირნი. დამყარდა სალდათის და პროლეტარის დიქტატურა (ბატონობა). სახელმწიფომ იწყო ბორძიკი, უკან დახევა და გადიჩეხა უფსკრულში... ამრიგათ დიდებულათ დაწყებული რევოლუცია მალე გარდიქცა ბუნტათ და ანარქიათ.

რევოლუციის პირველ ხანებში ხალხის ბელადობა ჰხვდათ წილათ სოციალდემოკრატ „მენშევიკებს“ და სოციალისტ-რევოლუციონერებს. ამათ მოიწადინეს შეურიგებელის შერიგება, ბურჟუისა და პროლეტარის ერთ უღელში გაბმა, მათი კავშირი და კოალიცია. მაგრამ სინამდვილემ დაანგრია ოცნება. რევოლუციის რომანტიზმმა მალე დაუთმო ადგილი მკაცრ რეალიზმს. დაეცნენ მენშევიკ-ესერები დანიის პრინცის მანტიაში გამოხვეულნი; მათი ადგილი დაიპყრეს მრისხანე „ბოლშევიკებმა“ და ხელთ იპყრეს მედგრათ რევოლუციის დროშა. ამ მომენტიდან რუსეთის რევოლუციაში დაიწყო მეორე ხანა, ხანა ტერორის, ცეცხლისა და მახვილისა.

„ბოლშევიზმის“ გამარჯვება რუსეთში ადვილი ასახსნელია. დაშვრალს და ომით დაქანცულ რუსის ხალხს სწყუროდა ზავი და მშვიდობა. ეს ზავი და მშვიდობა დაპირდენ ხალხს ბოლშევიკებმა. თხრილებში დაკუნტული სალდათი ნატრობდა შინ დაბრუნებას, და ამ სალდათს უთხრეს: ნულარ იბრძვი, წაიღე თოფი და წადი შინაო. გლეხს ეპოტებოდა მიწა; უქადაგეს: წაართვი მემამულეს მიწა და დაისაკუთრეო, მუშას აუხსნეს: ეს ქარხნები, მაღნები და ფაბრიკები შენიაო. ბოგანო ხალხს ამცნეს: ეს სახლები, ბანკები, მაღაზიები და ბურჟუების მთელი ქონება თქვენიაო, წადით, დატაკეთ, გაძარცვეთ, მოჰკალით და წაგლიჯეთო.

ეს ტკბილი სიტყვები მალამოსავით მოხვდა უმეცარ რუსის გულს. ასიათასობით და მილიონობით გაიტაცა ამ ახალმა მოძღვრებამ ბნელი ხალხი. გლეხი, სალდათი, მუშა და ხულიგანი, ყველანი იქცენ „ბოლშევიკებათ“ და მიუზიდეს ბატონობის კვერთხი ლენინსა და ტროცკის. ამათ სერიოზულად განიზრახეს სოციალიზმის გაბატონება, სოციალურ რევოლუციის მოხდენა, სოციალისტურ რესპუბლიკის დამყარება და მაგალითის მიცემა ევროპა-ამერიკისთვის. ამათ მოიწადინეს მსოფლიო ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება, ისტორიის ჩარხზე გადახტომა; ისკუპეს და ჩაიმსხვრენ ხრამში...

ბოლშევიზმით გატაცებულმა რუსის ხალხმა მიიღო ჯილდოდ ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ზავი, პეტროგრად-მოსკოვის და ოდესა-ნიკოლაევის დაჭერა ნემეცების მიერ, და ბოლოს კაიზერის მხედრობა გამოისეირნებს კიდევ შუაგულ რუსეთში „წესიერების აღსადგენად“. მოჰგლიჯეს რუსეთს თავი,—პეტროგრადი, ამოჰგლიჯეს მას გული,—მოსკოვს. რუსეთი ამიერიდან მკვდარია. ველიკოროსიის ბატონობას მოეღო ბოლო... რუსეთი დღეს გარდაიქცა გერმანიის კონგოთ, ნემცების პოლიტიკურ და ეკონომიურ მონათ... აი, რა ზომამდე მიიყვანა რუსეთი მაღალ ფარდებში ფრენამ!

საფრანგეთის რევოლუციათა მაგალითებმა ვერაფერი ასწავლა რუსის რევოლუციონერებს. ამათ ვერ ისარგებლეს წინა რევოლუციების კარგი მხარეებით და მხოლოდ უხეშათ მათი შეცდომანი. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს სრული მოუმზადებლობა რევოლუციის მოსახდენად და გასაღრმავებლად. მათ ვერ გამოიჩინეს ვერავითარი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება. მას ემუქრის ფეხ-ქვეშ გაჭყლეტას პრუსიის იუნკერი; ამის ნიშნებს უკვე ვამჩნევთ.

ახლა ვკითხოთ, თუ რას წარმოადგენს რუსის ხალხი. ეს ხალხი ჯერ ნორჩია, ბუნებით უნიჭო, პასიური, მონური სულის მქონე. რუსმა არ უწყის, თუ რაა სამშობლო. რაინდობა და პატრიოტული გრძნობა მისთვის უცხო ხილია. აღმოსავლეთ ევროპის და ციმბირის ტიალი მინდვრები სძრავენ მასში წანწალის სურვილს, ამიტომ რუსი ბუნებით ბოგანოა. მას ძლივს აქვს 1000 წლის ისტორია და აქედან 300—400 წელი მონგოლთა მონობაში გაატარა. ეს ათი საუკუნე კი მეტად მცირეა, რომ ნახევრად ველური ხალხი გადაიქცეს კულტურულად და შექმნას პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მაღალი ფორმები. ეს ხალხი ჯერ არც კი გამოსულა თეოლოგიურ ეპოქიდან. იგი ჯერ კიდევ სვეტების და წმიდანების პროცესშია. 90 პროცენტი ამ ხალხისა მიკრულია მიწაზე და აწარმოებს პრიმიტიულ მეურნეობას. ტეხნიკა და ინდუსტრია მხოლოდ ახლა იდგამდა ფეხს. სკოლების სიმცირე, წერა-კითხვის უცოდინარობა 60 პროც.-ის მიერ, განვითარებული ლოთობა და ხულიგანობა, დაქვეითებული ზნეობა, პოლიციელის უსაზღვრო თვითნებობა, „როზგის“ და მათრახის თავისუფალი ნავარდობა,—აი ის ბნელი, უმეცარი, ლატაკი და დაბეჩავებული მასსა და მისი გარემო, რასაც წარმოადგენდა ამ ბოლო დრომდე რუსის ხალხი!

აი, ამ ბნელ მასსას უქადაგებდენ სოციალიზმს! აი, ამ მასსის საშუალებით სურდათ დაეარსებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა. „ბოლშევიკებს“ კიდევ სწადდათ დაემყარებინათ სოციალისტური რესპუბლიკა! სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს...

აი, რას ნიშნავს ისტორიის კანონების და ხალხის ფსიხოლოგიის არ ცოდნა! რას ნიშნავს ზერელე თეორიებით, დოგმატიზმით, უტოპიებით და ბროშურებით გატაცება! მონარქიზმის ზარფუშში დახუთულს და მონობის ბორკილებით დაკუნტულს რუსის უმეცარ ხალხს უქადაგებდენ ერთბაშად სოციალიზმის სამოთხეს და სთავაზობდენ სოციალისტურ რესპუბლიკას! ის კი დაავიწყდათ ამ მეოცნებე მქადაგებლებს, რომ ჯერ რუსის ხალხმა უნდა განვლოს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური გრძელი ხანა, პარლამენტარიზმი, შემდეგ დემოკრატიული ეპოქა და სხ. ამისათვის კი საჭიროა მთელი საუკუნოები.

დროა შევიგნოთ, რომ ისტორია ნახტომებს არ აკეთებს და უდიდესი რევოლუციებიც კი ბოლოს ემორჩილებიან ევოლუციის რკინის კანონებს. რა გინდ კარგი იყოს თესლი, იგი არ აღმოცენდება და ნაყოფს არ დაისხამს, თუ ამ თესლს არა აქვს შესაფერად შემზადებული ნიადაგი. რუსის ხალხი კი წარმოადგენს ისეთ კლდოვან, ყამირ მიწას, რომლის დამუშავებას და შემზადებას სოციალიზმის სათესლისათვის სჭირდება მთელი საუკუნოები. და თუ დღეს რუსეთის ბატონობენ და პატრონობენ სოციალისტები, თუ დღეს ხალხის 90 პროცენტი აძლევს ხმას და უკან მიჰყვება ამ სოციალისტებს, სწორედ ეს მოვლენა ამტკიცებს ამ ხალხის სრულს უმეცრებას, თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესის შეუგნებლობას. ასეთი ხალხი დღეს სოციალისტია, ხვალ ანარქისტი, ზეგ კი მხეცად ქცეული ხულიგანი და ისევ ძველი მეფის და პოლიციელის თაყვანისმცემელი.

ასეთია რუსის ხალხი. ამ ყამირმა დაახშო სოციალისტთა ბელადების გულუბრყვილო ქადაგებანი, ბოლშევიზმი გარდიქმნა ხულიგანიზმათ და ანარქიათ, დაამკნო რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების ყვავილები, გამარჯვება მიანიჭა თავის დაუძინებელ მტერს—გერმანიას, დაასამარა თავის საკუთარი ბედი და პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება. უნებური მესაფლავენი კი შეიქნენ სოციალისტური პარტიები და განსაკუთრებით „ბოლშევიკები“...

რიონელი.

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲡᲐᲓᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

წაკითხულ იქნა ირ. წერეთლის, მ. არსენიძის, პირუმოვის და აგამალოვის მიერ ხელმოწერილი შეკითხვა მთავრობისადმი სადახლოში მომხდარ ამბების გამო. შემკითხველები მოითხოვდენ გადმოეცა მთავრობას ამ ამბების სრული სურათი, სტიქიური თუ ორგანიზაციული ხასიათი აქვთ მათ და რა ზომები მიიღო მთავრობამ ამის წინააღმდეგო.

მთავრობის თავმჯდომარე **გეგეჭკორი** თავის პასუხში ამბობს: 10 მარტს საღამოს მივიღეთ ცნობა, რომ სადახლოში შეიარაღებულმა მუსულმანებმა წაართვეს წითელ გვარდიელებს 60 ტყვიის მფრქვეველი. მოკლულია სადგურის უფროსი პელიძე და მთელი სადგური შეიარაღებულ ბრბოს ხელშიაო. ჩვენ მეორე დღესვე გავგზავნეთ იქ წითელ გვარდიელების რაზმი. გამოირკვა შემდეგი: როცა თფილისიდან გაემგზავრენ 10 წითელ გვარდიელი ტყვიის მფრქვევებით, სად. კუშისში ვაგონში შესულა 12 შეიარაღებული მუსულმანი. წითელ გვარდიელების შეკითხვაზე თუ ვინ არიან ისინი, მათ უპასუხეს, ჩვენ რკინის გზის დარაჯები ვართო. სადახლოში მათ გააჩერეს მატარებელი და დაიწყეს ტყვიის მფრქვევლების ვაგონიდან გამოზიდვა. წითელ გვარდიელებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს, მაგრამ მუსულმანებმა დაიტაცეს ტყვიის მფრქვეველები და აყარეს იარაღი ჩვენს რაზმს. აქვე მოწვეულ იქნენ სომხების სოფლათ წარმომადგენლები და გადასწყვიტეს შეიარაღებული ძალებით წასულიყვნენ სადახლოში. ეგ. გეგეჭკორი აღნიშნავს, სხვათა შორის, როცა შეიარაღებულ მუსულმანებმა მოსთხოვეს ტყვიის მფრქვეველები წითელ გვარდიელებს, ჩვენებმა მათ უჩვენეს თურმე დოკუმენტები და უთხრეს, ეს ომის საჭიროებისათვის მიგვაქვსო. მუსულმანებმა უპასუხეს, ტყვიისმფრქვევლების გამოგზავნა ჩვენ ადრე ვიცოდით, და თუ ის პირი, რომელმაც ეს თფილისიდან გვაცნობა მოგვცემს ნებას, მაშინ არ წავართმევთ ტყვიისმფრქვევლებსო. ჩვენ ვიცით, თუ ვინ აცნობა ეს მუსულმანებსო—ამბობს ე. გეგეჭკორი. მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ დამნაშავენი აღმოაჩინოს და შესაფერათ დასაჯოსო, შემდეგ ის აგვიწერს სადახლოში მომხდარ ამბებს დაწვრილებით, რაც უკვე იყო აღნიშნული ჩვენ გაზეთში. ჩვენ ვცდილით წინანდელი გზით—განაგრძობს ორატორი—განვაგრძობთ ბრძოლას შოვინისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ. მთავრობამ დანიშნა საგანგებო საგამომძიებლო კომისია, დაადგინა: გაგზავნოს სადახლოში შერეული კომისია, რომელიც გამოარკვევს მუსულმანთა სოფლების ზარალს. ეს ზარალი უნდა ანაზღაურდეს და დამნაშავენი დაისაჯონ. ამასთანავე უნდა აღვნიშნო ის გმირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს წითელი გვარდია, ეს სიმშვენიერე ამიერ კავკასიის რევოლუციონურ დემოკრატიისა. წითელ გვარდიამ შესძლო წესრიგის დამყარება, იგი მოკლებულია ყოველგვარ ნაციონალისტურ იერს და სანამ წითელი გვარდია ჩვენთან არის, რევოლუცია და ჩვენი ხალხის ბედი საიმედო ხელშია (ტაში).

წერეთელი. მოქალაქენო, ჩვენ სოციალ-დემოკრატებს გვგონია, რომ იმ სოციალურმა მაქსიმალიზმმა, რომელიც რუსეთში გამეფდა ამ ბოლო დროს აქ, ამიერ კავკასიაში, ნაციონალურ მაქსიმალიზმის სახე მიიღო. ასეთ შემთხვევაში ის გზა, რომელსაც ჩვენი ფრაქცია ადგია უცვლელ და ჭეშმარიტად მიგვაჩნია. ამიტომ ჩვენ გვინდა მხარში ამოგვიდგენ გავლენიანი ნაციონალური პარტიები და დაგვეხმარონ წესრიგის დამყარებაში. თქვენ გაზეთებიდან იცით და მთავრობის მოხსენებიდანაც გამოირკვა, რომ როგორც მუსულმან ისევე სომხის მასაში ჯერ კიდევ არ გამქრალა გრძნობა ძმური სიყვარულისა. ამიტომ ჩვენ გვგონია ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები ვერ იჩენენ საკმაო ენერგიას. მე კი ვფიქრობ, თუ თქვენ მეტ ფხას გამოიჩენთ, ძალიან ბევრის გაკეთება შეგიძლიათ. მოქალაქენო, ჩვენსა და სხვა აქაურ ფრაქციებს შორის ბევრი განსხვავებაა, მაგრამ ჩვენ ერთში შეგვიძლია სავსებით შევთანხმდეთ, ყოველივე უთანხმოება შეიარაღებულ ძალით კი არ უნდა წყდებოდეს, არამედ ორგანიზაციულად, შეგნებული მუშაობით. მე თქვენ მიგითითებთ იმაზე, რომ ის ძალები, რომლებმაც სადახლოს ცეცხლი ჩააქრო, არ კმარან, იმათ თქვენც უნდა ამოუდგეთ გვერდში, თორემ ისინი მარტო ვერ შესძლებენ ამ მძიმე უღლის ზიდვას. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ჯარის შეიარაღებულმა ნაწილებმა მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ომში. ეს შეუძლებელია, ეს ღალატია იმ საქმის, რომელსაც მათ მოკიდეს ხელი. ჩვენ უკვე ვხედავთ ამის შედეგებს. არზრუმის ისტორია ამის მაჩვენებელია.

დასასრულ მოუწოდებს ყველა დაეხმაროს მთავრობას წესრიგის დამყარებაში, რომ მით განამტკიცონ საერთო რევოლუციონური ფრონტი.

არუთიუნიანი. მე შესწორება შემაქვს ამხ. წერეთლის სიტყვებში. მან ახსენა სამოქალაქო ძმათა შორის ომი. მე ვამბობ ასეთი ომი არ არსებობს, ეს კომისიებმაც გამოარკვია. ჩვენ არას დროს არ გვითქვამს, იმ სისხლის ღვრაში, რომელსაც სხვა და სხვა უპასუხისმგებლო პირები ქმნიან, თითქოს თათრის მასა იყოს დამნაშავე.

აქ როგორც ერთხელ ამხანაგმა ლომთათიძემ სთქვა, ვიღაც განგებ გვიშლის ხელს შევიარაღდეთ გარეშე მტრის წინააღმდეგ. ანგრევენ რკინის გზას, ართმევენ გამვლელ ეშელონებს იარაღს, რომ მით ხელი შეუშალონ საერთო მტრისგან თავდაცვის საქმეს. მოქალაქენო, თქვენ ხედავთ, აქ,—სადახლოში, შეცდომა მომხდარა. თათრებს რომ სცოდნოდათ, რომ იარაღი ქართველებს მიქონდათ არ დაესხმოდნენ. ეს ნათლად ამტკიცებს თათრების განწყობილებას სხვა ერისადმი. საჭიროა აღვნიშნო, რომ თათრების მიზანია იარაღი შეიძინონ რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს მათ, თუნდ სიცოცხლე შესწირონ.

აქ ამტყუნებენ სომხის ჯარს, თითქოს ის არბევდეს მუსულმანთა სოფლებს, უდანაშაულო ხალხს. ეს არ არის მართალი. სომხის ჯარში ჯერ ერთი ბევრია რუსის ოფიცრობა, მეორე, ჯარი არბევს იმ ყაჩაღების ბრბოს რომელშიც შეიძლება ბევრი იყვეს თვით სომეხიც და აისორიც.

დასასრულ, ჩვენ მოვითხოვთ ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილ იქნეს იარაღზე ნადირობა და განთავისუფლებულ იქნეს რკინის გზა თავდასხმისაგან.

ამასთანავე აღვნიშნავ, რომ დაშნაკცუტუნის პარტიას დიდი შრომა მიუძღვის თათრის ინტელიგენციასთან ერთად სოლიდარობის დამყარებაში.

რახულზადე (მუსავატი). აქ ნათლად ორ მოვლენას აქვს ადგილი. პირველი: იარაღის წართმევა სადახლოში. ჩვენი ფრაქცია მოითხოვს სასტიკად იქნენ დასჯილნი ის პირნი რომელთაც შექმნეს სადახლოს ისტორია. აქვე თქვენ ხედავთ, გამოდის ჯარი და მთავრობის დაუკითხავად ვისიდაც ბრძანებით არბევს უდანაშაულო ხალხს: სწვავს და ანადგურებს სოფლებს. ჩვენ ამის წინააღმდეგაც პროტესტს ვაცხადებთ. დასჯის უფლება მხოლოდ მთავრობას უნდა ქონდეს და სხვა რაიმე ორგანიზაცია ასეთ საქმეში არ უნდა ერეოდეს.

მე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ აქ ტყუილა გონიათ, თითქოს მარტო მენშევიკები იყვნენ დემოკრატიის ინტერესების დამცველნი. ჩვენს ფრაქციას აქ ნოტაციებს უკითხავენ, ეს ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია. რადგან ჩვენი მთავრობა შესდგება არა მარტო ერთ მენშევიკურ, არამედ ყველა ფრაქციებისაგან. აქ ჩვენ ყველაფერში ყველა ვუჭერთ მხარს მთავრობას და დავუჭერთ მანამდე, სანამ ის არ ასცდება თავის ნამდვილ გზას.

კანტემიროვი (მუს. სოც. ბლოკი) თქვენ მოგეხსენებათ რუსის ჯარის წასვლის შემდეგ დიდძალი იარაღი და ქონება ჩაიგდო ხელში ყველამ გარდა თათრის გლეხებისა. აქ მიუთითებენ თითქოს თათრები იარაღზე ნადირობენ. ეს არ არის მართალი. ბაქოს გუბერნიაში მაგალითად დღემდე ერთი თოფიც არ მიუღიათ. მე მგონია, რომ თუ მთავრობა მომავალში უარყოფს ცალმხრივობის გზას ამ საკითხში, ანარქიას და რბევასაც ნიადაგი გამოეცლება.

მოქალაქენო, თქვენ ხედავთ მთავრობის მოხსენებიდან, რომ ერთის მხრივ, სახელდობრ სომხების მხრივ, მოქმედობს ორგანიზაციული ძალა: ჯარი. თათრების მხრით კი კერძო პირები. აქ დაშნაკცუტუნის პარტ. წარმომადგენელი ისტერიულად გაიძახის, თითქოს ისინი მუდამ სოციალისტურ დროშას აფრიალებდნენ, მხოლოდ ამ საქმეში მათ თათრები უშლიდა ხელს. ეს არ არის მართალი. თუ გადახედავთ ამ პარტიის 30 წლის მოქმედებას, თქვენ დაინახავთ რომ ეს პარტია მეტ შემთხვევაში მიუდგომლობას ვერ იჩენდა. ის ხშირად ნაციონალისტური იყო ვიდრე სოციალისტური. ჩვენ ვფიქრობთ რომ დღეს აქ ასეთ ტაქტიკას არ უნდა ქონდეს ადგილი, რადგან გვჯერა რომ ზავს და სიწყნარეს შექმნის არა შეიარაღებული ძალა, არამედ შინაური თანხმობა და გაერთიანებული მუშაობა. ამისთვის ჩვენ ყოველივე საშუალებით დავეხმარებით მთავრობას დამნაშავეების აღმოჩენაში.

მელიქ ასლანოვი (გზათა მინისტრი) შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს მთავრობა რკინის გზის მოძრაობის აღდგენაში, აღნიშნავს, რომ მთავრობა ყოველივე ზომას იღებს მალე წესიერების დამყარებისათვის. ამ მიზნისთვის მან სხვათა შორის სამი ჯავშნიანი მატარებელი დაამზადა, რომელნიც უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ალამალოვი. მე მგონია, რომ ჩვენი მდგომარეობა უკიდურესია. ჩვენ არ ვაკეთებთ იმ საქმეს რისთვისაც აქ ჩვენ გამოგვგზავნეს. ჩვენ აქ რაღაც დამცველთ წარმოვადგენთ ამა თუ იმ დამნაშავე ჯგუფთა.

მე მწამს რომ სომხებს იხსნის არა ინგლისელები და ფრანგები და თათრებს არა სტამბოლი და გერმანელები, არამედ თავისი თავი, თავიანთი შინაური თვითმოქმედება. აქ ფილოსოფიურ მსჯელობას იწყებენ და ვერ წარმოუდგენიათ ის უბედურება რომელმაც გამორეკა ქუჩაში ათასობით შიშველ-ტიტველი.

მე ვამბობ, რკინის გზის დანგრევით არა მარტო ჯარი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში არამედ თვით თათრის მასა, რომელიც დამშეულია და არსაიდან სურსათი არ მოდის. სიმშილობა კი ქმნის ყაჩაღთა ბრბოს, რომელიც ერთგვარად არბევს როგორც სომხის აგრეთვე თათრის დემოკრატიას.

ამის მერე მე არა მგონია იყოს ვინმე თქვენ შორის რომელმაც გაამართლოს აღნიშნული ბოროტება.

აქ გამოდიან და ათობით სოფლის აწიოკებას, განადგურებას ამართლებენ, მე გეკითხებით თქვენ, მას მერე რაც თქვენ მთავრობას ნდობა გამოუცხადეთ საჭირო იყო თუ არა ალექსანდროპოლიდან ჯარის გამოწვევა ან ვინ გამოიწვია ის? თუ თვითონ წამოვიდნენ, უნდა სასტიკად დაისაჯოს, ნაციონალურმა საბჭომ თუ გამოიწვია, ასეთი საბჭო უნდა გაირეკოს.

აქა თქვეს, დემოკრატია უჯერებს დაშნაკელებს და მუსავატს, საუბედუროთ ეს მართალია, რომ მასაში არავითარი მტრობა არ არსებობს ერთი-მეორისადმი. ეს კარგათ ვიცი და თუ აქ მაინც წინააღმდეგს ვხედავთ, ეს „საზოგადო მოღვაწეების“ საქმეა.

ნოე რამიშვილი. პროტესტს აცხადებს, თითქოს მთავრობა ცალმხრივობას იჩენდეს თუნდაც შეიარაღების საქმეში, ეს არ არის მართალი, ხშირად, ძალიან ხშირად ბევრი სხვა და სხვა ნაციონალური ნაწილი დარჩა შეუიარაღებელი, მაგრამ ეს მოხდა არა განზრახ, არამედ მდგომარეობის და მიხედვით, დასასრულ სასტიკ ზომებს პირდება ანარქიულ გამოსვლის წინააღმდეგ.

ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ერთი მთავრობის გარდა არსებობენ კიდევ სხვა მთავრობები, რომელნიც ხელს უშლიან საერთო მუშაობას. ასეთი მთავრობები უნდა გაირეკოს, თუნდაც ეს ნაციონალურ საბჭოებს შეეხებოდეს. თორემ ბოლოს გამოდის, რომ ამიერ კავკასიის მთავრობა არსებობს არა მთელი ამიერკავკასიისთვის, არამედ დასავლეთ ნაწილისათვის მხოლოდ. სხვები კი უარყოფენ მას.

რახულზადე. აქ სულ არევ-დარევაზე, ანარქიაზე მითითებენ და ამბობენ, თითქოს ეს სულ ნაციონალურ პარტიების საქმე იყოს. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ჩვენი პარტია ნაციონალისტურია, მაგრამ აქაური ს.-დემოკრატებიც ნაციონალისტები არ არიან? მხოლოდ ისინი ინტერნაციონალურ შირმას ეფარებიან.

აქ მთავრობის წარმომადგენელი გამოდის იმის ნაცვლად, რომ ციფრებით უარყოს ჩვენი ბრალდებები, სიტყვების კორიანტელით გვიმასპინძლდება.

ჟორდანია. ცხარე სიტყვას ამბობს იმის გასამართლებლად, რომ სოც. დემოკრატია მუდამ ინტერნაციონალური პარტია იყო და ამაში ეჭვის შეტანა სირცხვილია.

ლომთათიძე შემოაქვს რეზოლიუცია, რომელშიც ამართლებს მთავრობის მოქმედებას და გადადის მორიგ საკითხებზე.

კრება დაიხურა.

გაზეთი და პარტიის ორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 18-Ს ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 61 და 62)

ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ირ. წერეთლის სიტყვის შემდეგ შეაქვთ წინადადება კამათის მოსპობის შესახებ. საბჭო ამ წინადადებას იწყნარებს.

ქ. გვარჯალაძე (ს. დ.) სოციალ-დემოკრატების სახელით იძლევა რეზოლუციის შემდეგ პროექტს: საბჭომ მოისმინა რა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება თანამედროვე ვითარების შესახებ,—იწონებს მისგან გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საკითხებზე.

გ. რცხილაძე (ს.-ფ.) რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად მოითხოვს კრების 5 წუთით შეწყვეტას.

ნ. ჟორდანია. კრებას არ სწყვეტს, თუმცა ეთანხმება, რომ ვიდრე ფრაქცია რეზოლუციას არ წარმოადგენს საბჭო რეზოლუციას არ გამოიტანს.

საბჭო მორიგ საქმეების განხილვას განაგრძობს. ისმენს როსტომ ყაზბეგის მოხსენებას. იგი გაგზავნილი იყო ეროვნულ საბჭოს რწმუნებულად თერგ-დაღესტნის მთავრობასთან იქაურ საქმეთა ვითარების გასაცნობად.

ყაზბეგის მოხსენება.

ყაზბეგი აღნიშნავს რომ თერგ-დაღესტნის ოლქში ყაზახთა ტერიტორიას უჭირავს მთელ ტერიტორიის $^1/_3$, ხოლო მთიელებს $^2/_3$. ყაზახებს უჭირავთ ერთი მესამედი ტერიტორიისა, მაშინ როდესაც რიცხვით ისინი შეადგენენ მთელ მცხოვრებთა $^1/_5$. ყაზახებს საუკეთესო მიწები უჭირავთ. მთიელებს კი მთა-ხრიოკი ადგილები. სულ ყაზახზე გამოსადეგი მიწა მოდის 14 დესიატინა, ას მთიელზე კი 1 ნახ დესიატინა. ამასთან არის ერთი განსხვავებაც. ყაზახთა და მთიელთა მიწების სიავ-კარგის შეფასებაში. ყაზახები გამოსადეგ მიწას უწოდებენ ისეთ მიწას, რომლის ერთი დესეტინაც იძლევა არა ნაკლებ 160 ფუთისა, მთიელები კი—ისეთ მიწას, რომლის ერთი დესეტინა იძლევა 80 ფუთს. ასე რომ ყაზახს 30 ჯერ მეტი მოსავალი აქვს ვიდრე მთიელს. ასეთ საადგილმამულო ურთიერთობით აიხსნება ის გარემოება, რომ ყაზახები და მთიელები ვერას გზით ვერ რიგდებიან ერთმანეთში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ხშირად თვით ყაზახები იქამდის მიდიოდენ რომ ძალითაც კი სტაცებდნენ მთიელებს მიწებს. ეს რა თქმა უნდა მთიელებს არ ესიამოვნათ და დღეს მთიელები ერთიანად ებრძვიან ყაზახებს. ბრძოლაში მონაწილეობენ ყველანი 15 წლიდან მოკიდებული 60 წლიანამდე. ამასთან ყაზახები ისე არიან ინგუშებსა, ოსებსა და ჩეჩნების სოფლებს შორის, რომ მათ შუა ჰყოფენ. ეს გარემოებაც მდგომარეობას ამწვავებს. თერგის ოლქის ატამანი ყარაულოვი შეეცადა როგორმე მოეწესრიგებინა მთიელებს და ყაზახებს შორის ატეხილი დავა. მან დაუთმო კიდეც მცირე ტერიტორია ინგუშებს, მაგრამ ამისთვის ის მოჰკლეს. ამ ჟამად ყაზახებს გაუძნელდათ მთიელებთან ბრძოლა და მათ სხვა ხერხს მიმართეს. მათ მხარი დაუჭირეს ბოლშევიკურად განწყობილ ჯარებს და მათთან ერთად ებრძვიან ინგუშებს. ძნელად თუ გადასწყვეტენ საკითხს, მით უმეტეს, რომ მათ გზის მაჩვენებელი არავინ მოეპოვებათ. მეტად ცოტანი არიან ნასწავლები. შეიძლებოდა იმედების დამყარება ოსებზე, მაგრამ თვით ოსებიც სამ ნაწილად დაიყვნენ: ერთი ნაწილი ყაზახებს შეუერთდა და ინგუშებს ებრძვის, მეორე მთიელებს ეშველება და მესამეც მხარს უჭერს ეროვნულ საბჭოს და ნეიტრალიტეტს იცავს.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყაზახები ამ სისხლის ღვრაში ქართველებსაც ითრევენ. ათ ალაგირის ხეობაში ქართველები ძალით გაიყვანეს საბრძოლველად. ასევე მოექცნენ კავკავის მახლობლად მცხოვრებ ქართველებს. მაგრამ ყაზახები აგიტაციას ეწევიან მოხევეების შორისაც მოხევეებს ინგუშებზე ასისინებენ. ასევე იქცევიან ოსებიც.

ამის გამო მოსალოდნელია შუღლის ჩამოგდება ქართველებსა და ინგუშებს შორისაც. ამ მხრივ ჩვენ საშიში ალაგი გვაქვს კობში. კობაში ოსები ინგუშებს არ აჰკარებენ, ქართველებს-კი არას ერჩიან. ქართველებს არც ინგუშები უყურებდენ ცუდად. მაგრამ თუკი ქართველებმა ოსებს დაუჭირეს მხარი, ან კობელმა ოსებმა თარეში არ შესწყვიტეს, ინგუშები ჩვენც გადაგვემტერებიან. არ უნდა დაგვავიწყდეს—მათ სისხლის აღება იციან და

დღეს თუ ხვალ ქართველებს და ინგუშებს შორის შეტაკება მოსალოდნელია. ამ დღეებში კი თერგის ოლქში გენერალურ ბრძოლას მოელოდნენ. მდგომარეობა იმდენად გართულებულია, საქმე იმდენადაა აწეწილი რომ თუ ბრძოლა დაიწყო, იგი მთელს ფრონტზე დაიწყება ამიერ-კავკასიას. ამიტომ, ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა თუ ეროვნული საბჭო კავკავამდის გზის დასაცავად ზომებს მიიღებს. გზის დაცვას ინგუშები გვპირდებიან მხოლოდ თვიურად მოითხოვენ 20 ათას მანეთს, 500 თოფს, 20 ათას პატრონს, ორს ტყვიისმფრქვეველს, ას ფუთ შაქარს, 6 ფუთ ჩაის და 1200 ყუმბარას. ამასთან აცხადებენ, რომ თუ ჩვენ არ მივიღებთ ყველა ამას, ქართველებსაც აღარ გაუშვებთ. ამიტომ საჭიროა კავკავამდე გზის დაცვას ჩვენვე შევუდგეთ.

შ. ნუცუბიძე (ს.-ფ.). თხოულობს, რომ რეზოლუცია თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელზედაც სწარმოებდა ბჭობა გადადებულ იქმნას და დაინიშნოს ცალკე საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება, რომელიც განიხილავს სოციალ-ფედერალისტთა დეკლარაციას, რადგან დეკლარაციაში აღძრულია ის კითხვები, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი დღევანდელ საკითხთან.

არ. წერეთელი. დღეს რეზოლუციის გამოტანა ნიშნავს ნდობა-უნდობლობის საკითხის აღძრას.

ი. ბარათაშვილი (ს.-ფ.). ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ, რომ რეზოლუცია დღეს არ იქნას გამოტანილი. აღმასრულებელმა კომიტეტმა კი განაგრძოს თავის მუშაობა.

ვინაიდან ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპიალური განხილვა შემდეგისთვის იყო გადადებული ეროვ.-დემოკრ. ფრაქციას ფედერალისტებსა და სოც.-დემ. შორის მომხდარ კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ. დასასრულ გერონტი ქიქოძეს ეროვნულ დემოკრატების მხრივ შეაქვს რეზოლუცია: საქართველოს ეროვნული საბჭო ავალებს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიოს საგანგებო კრება რომელზედაც უნდა განხილულ იქმნას საქართველოს ეროვნული მთავრობის ზავისა და საზოგადოთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

კ. ჩხეიძე. მოითხოვს, რომ რეზოლუციას კენჭი არ უყარონ, მხოლოდ ოქმში კი შეტანილ იქნეს.

არ. წერეთელი. იზიარებს ამ აზრს, თან აცხადებს, რომ იგი არსებითად რეზოლუციაში გამოთქმულ აზრს არ ეწინააღმდეგება და მიაჩნია სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილ რეზოლუციის დამატებად.

ეროვნულ დემოკრატების მიერ წარდგენილი რეზოლუცია შეაქვთ ოქმში, როგორც განცხადება.

საბჭო ხმის უმეტესობით ღებულობს გვარჯალაძის მიერ წარდგენილ რეზოლუციას, რომელშიაც ეროვნულ დემოკრატებს შეაქვთ შესწორება: აღასტურებს (იყო იწონებს) მისგან გადადგმულ ნაბიჯებს და გადადის მორიგ საკითხებზე.

რეზოლუციის მიღების შემდეგ **ის. რამიშვილი**, რომელიც ყაზბეგთან ერთად იყო გამგზავრებული ჩრდილო-კავკასიაში, მოახსენებს დავალების აღსრულების საქმეს და თავის თავგადასავალს.

ის. რამიშვილის მოხსენება

ჩვენ—გავემგზავრეთ კავკავში 11 მარტს. გზაში ჩვენი დაცვა იკისრა სამმა ინგუშმა. კავკავში ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ჩვენი ავტომობილები. სამი დღის შემდეგ ძლივს დავიბრუნეთ ავტომობილები, ბოლშევიკები აპირებდენ სხვაფერი საღებავით შეეღებათ ჩვენი ავტომობილები, რომ ისინი არ დაებრუნებინათ ჩვენთვის. თერგის ოლქის მცხოვრებთა ყრილობამ აირჩია ბოლშევიკური მთავრობა. ეს მთავრობა 8 დღის წინ ჩავიდა კავკავში, როგორც მენშევიკების მთავრობა. მცხოვრებლებმაც ისე მიიღეს ისინი, როგორც მენშევიკები. მართალია, მთავრობაში ოთხი მინისტრია მენშევიკი, მაგრამ, დღეს, ალბათ, ბოლშევიკობენ, ამ მთავრობას გაეგზავნა დელეგაცია ინგუშებთან და კაზაკებთან, მაგრამ დელეგაციას სროლა აუტეხეს, ერთი დელეგატი მოჰკლეს. მთავრობამ გაგზავნა მეორე დელეგაცია. მე საჭიროთ ვცანი ამ დელეგაციასთან ერთად მუშაობა. მე წავედი ბოლშევიკების საბჭოში. გავაცანი მათ ჩვენი მიზანი. ისინი მიესალმენ ჩვენს განზრახვას. მთხოვეს გამეცნო მათთვის, თუ რა ხდება ამიერ-კავკასიაში. მე გავაცანი მათ ჩვენი შეხედულება რევოლუციისა და ომის შესახებ, სეიმის მუშაობის, მიწის კანონის და სხ. შესახებ. აგრარულ კითხვამ ბევრი დაინტერესა. მათ ეგონათ, თურმე რომ ჩვენ მთელი მიწა დაუტოვეთ მემამულეებს და როცა გაიგეს, რომ 7 დესეტინაზე მეტი ჩამოვართვით მათ, გაუკვირდათ, აქ-იქ გაისმა ხმები, არც ისე კონტრ-რევოლიუციონერები ყოფილანო.

ჩემი მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ რაღაც მოსაზრებით არ გახსნა კამათი, თუმცა სხვები მოითხოვდენ ამას. მთხოვეს ამიერ-კავკასიამ დაუთმოს მათ რამდენიმე ავტომობილი, აეროპლანი, ზარბაზანი და სხ.

მეორე დღეს ჩვენ წავედით იქ, სადაც ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ მივედით კაზაკებთან და ოსებთან. მეორე დელეგაცია გავგზავნეთ ინგუშებთან თუ შევძლებდით ზავის ჩამოგდებას, უნდა გვეცნობებია ერთი მეორესთვის თეთრი დროშის საშუალებით. კაზაკებმა გვითხრეს,—სანამ არ გავჟლეტთ ინგუშებს, ბრძოლას თავს არ გავანებებთო. დღეს რომ წოდით, სად იყავით მაშინ, როცა ინგუშები ჩვენ გვაწიოკებდენო. კაზაკების პოლკოვნიკმა სთქვა: ერთი კაციც არ უნდა დავტოვოთ ინგუში ცოცხალიო. მთავარ შტაბში კაზაკების პოლკოვნიკმა გვითხრა, ჩვენ რომ დავთანხმდეთ მორიგებაზე, ხალხი არ დაგვეთანხმება და შესაძლებელია თვით გაგვასამართლონ ამისთვისო, თვით ხალხთან არ მიშვებდნენ, მე მაინც გადავსწყვიტე მოვლაპარაკებოდი თვით კაზაკებს, მაგრამ მათი შეკრება არ მოხერხდა. სროლა გრძელდებოდა, მაგრამ თურმე ისროდენ კაზაკები და არა ინგუშები. ინგუშები თურმე კარგათ შეხვდენ დელეგაციას. საღამოს მოხდა ოსებისა და ინგუშების წარმომადგენელთა კრება. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან მორიგდნენ. შუღლის გამომწვევი მიზეზი, ეს აგრარული საკითხია. კაზაკები შეადგენენ მცხოვრებთა ერთ მეხუთედს და ფლობენ მიწის სამ მეოთხედს. ინგუშებს კი მიწა არა აქვთ. ბრძოლაში ინგუშებმა აჯობეს, მაგრამ მათ სხვებზე უფრო სურდათ მორიგება. მორიგების პირობათ ჩვენ წამოვაყენეთ ტყვეებისა და ალყა შემორტყმულ სოფლების განთავისუფლება. ამ პირობებს ორივე მხარემ მოაწერა ხელი. მეორე დღეს უნდა შეკრებილიყვნენ ხალხის წარმომადგენლები და შეწყვეტილიყო სროლა, დღეს მაცნობეს კავკავიდან—წარმომადგენელთა კრება შესდგა, ხოლო სროლა არ შეწყვეტილაო. ჩვენ ვერაფერს ვერ გავხდით. იქ ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონურ პროვოკაციას აქვს ადგილი. კაზაკები და ოსები ჩივიან ბოლშევიკებზე, რომ ისინი თავის წინააღმდეგ არ ეცხედრებიათ, მათ მაგალითს მიბაძეს ინგუშებმაც. ეს ნამდვილი პრაქტიკული ბოლშევიზმია. ბოლშევიკების ლიდერები ამბობენ, ესენი ყველა კონტრ-რევოლუციონერებია და ჩვენ თვითონ გვეშინია მათიო. ბოლშევიკურმა ბრბომ ალყა შემოარტყა ოფიცრების საერთო სადგომს. ატყდა სროლა. საღამომდის ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ბრბომ წინადადება მისცა ოფიცრებს, თუ იარაღს აიყრით, უვნებლად გაგიშვებთო. ოფიცრები დასთანხმდნენ. მაგრამ როცა ისინი მიდიოდენ მატარებლით თავის სახლში, გზაში დახვრიტეს, როგორც ამბობენ, 28 კაცი.

მე დავესწარი თერგის ოლქის მცხოვრებთა ყრილობას. აქ ს.-რევოლიუციონერების, მენშევიკების და ბოლშევიკების ბლოკმა ავი შეიკავა, როცა მთავრობის შემადგენლობას უყრიდენ კენჭს. მხოლოდ ახლად მოვლენილ ბოლშევიკების ხმით იქმნა არჩეული მთავრობა. მე მთხოვეს აქ არ გამეწია მათთვის კრიტიკა იმ სახით, როგორც წინა დღით საბჭოს წევრთა კრებაზე. მეც ამ შემთხვევაში მივესალმე ყრილობას ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის სახელით. ამან ტაში გამოიწვია, რევოლიუციონური დემოკრატია ყოფილა ამიერ-კავკასიაშიო. ფრთხილად გავაკრიტიკე ბოლშევიკების მოქმედება და გავაცანი მათ ჩვენი ტაქტიკა. ამაზე ყველა მოესალმა. მე ვამბობდი, რომ რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს საბჭოების არსებობას, როგორც რევოლიუციონურ ორგანოებისას, რომლებიც გამოხატავენ მშრომელ კლასების ინტერესებს და იმავე დროს დამფუძნებელ კრების არსებობასაც, რომელიც საკანონმდებლო ორგანოა ყველა მცხოვრებთათვის. და აი, როცა რუსეთში დარჩა მხოლოდ საბჭოები, რევოლიუციაც დამარცხდა. ადგილობრივი მენშევიკები ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მათ ორგანიზაციაც არა აქვთ. მოვიწვიე ყრილობის მენშევიკების ფრაქციის წევრთა კრება, ვულაპარაკე მათ ჩვენი და ბოლშევიკების ტაქტიკას შორის არსებულ განსხვავებაზე, ისინი დაგვპირდენ, რომ დაიცავენ წმინდა მენშევიკურ ტაქტიკას. გვთხოვეს დრო გამოშვებით გავუგზავნოთ იქ ჩვენი წარმომადგენელი.

რაც შეეხება სასურსათო საქმეს, საქართველოს სამხედრო გზა საფრთხეშია როგორც ოსების, ისე ინგუშების მხრით.

ჩვენ უნდა ავიღოთ საკუთარ ხელში გზის დაცვა კავკავამდე, ამ აზრის არიან ბოლშევიკებიც. ასეთი დადგენილება მიიღო ყრილობამაც.

საჭიროა საკუთარი ტრანსპორტი, ფული და სპეკულიანტებთან ბრძოლა.

რამიშვილის მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადასტურა მზრუნველობის სექციის დაარსება.

კრება დაიხურა საღამოს 6 საათზე.

ქართული კლუბი

ოთხშაბათს, მარტის 28-ს

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ

გაიმართება

საღამო-მეჯლისი

ქართული ნადიმით

საღამოს დიასახლისი: ნინო ნიკოლაძის ასული გაბაშვილისა

ბილეთების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში და „საქართველოს“ კონტორაში.

ზავის გარშემო

გერმანული პრესა ზავის შესახებ

ბერლინიდან და ჰამბურგიდან იტყობინებიან: რუსეთთან ზავის შეკვრის გამო გერმანელები დიდს აღფრთოვანებაში არიანო. გაზეთებს ქუჩაში იტაცებენ. ხალხით გაჭედილ კაფე-თეატრებში ეროვნულ ჰიმნებს მღერიან, საერთოდ ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი ადევს.

„Berliner Tageblat“-ში ვოლფი ირონიულად უცინის ბოლშევიკებს თავის პოლიტიკის ნაყოფთა მოსთვლას. „ფორვერტი“ ამბობს: რუსეთის მდგომარეობა შეიცვალა, ის ახლა მოსკოვის საზღვრებში ჩაიჭედა. შეუბღალავ მოსკოვის სამთავროს გვირგვინივით შემოეხვია ახლად გამოცხადებული სახელმწიფოები, რომელნიც სივრცით ორჯერ სჭარბობენ გერმანეთს. „ფორვერტი“ დასძენს, ზავის პირობებმა ძნელი ჩაჭრით გასტეხეს უძლიერესი სახელმწიფო და უდიდესი ცვლილება მოახდინეს. რუსეთი ისე დაუძლურდა, როგორც არას დროს. რასაკვირველია, ბოლშევიკები გერმანელ მუშებს დააბრალებენ, რომ იგინი არ მიეშველნენ მათ ძნელ საქმის გადაწყვეტაში, მაშინ როცა თვითონვე ხელს უწყობდნენ გერმანელ იმპერიალისტებს მიზნების განხორციელებას. გაზეთი ამავე დროს უსაყვედურებს გერმანეთის მთავრობას, რომ მან ისარგებლა რუსეთის უმწეობით და თავზე მოახვია ისეთივე ზავი, რანაირიც 1807 წ. ტილზიტში განადგურებულ პრუსიას. აჰსახავს რა ბრესტის საზავო კონფერენციის უკანასკნელ დღეებს „ფორვერტი“ გულდიანი ღიმილით დასძენს: „უკანასკნელი აქტი უძლიერეს ისტორიულ ტრაგედიისა სასტიკი ფორმით გერმანულ ოფიციალ ბიუროს გადაეცა. დღეს დიპლომატებიც ულიან მომავალში დიდს არევას, როდესაც ცენტრალ სახელმწიფოებს ჰსურთ კეთილი განწყობილება განაახლონ ველიკოროსიასთან“. „ფორვერტი“ შეწუხებულია სოკოლნიკოვის თქმით, რომ გერმანელ მუშებმა გაჭირვებაში არ მიხედეს რუს ამხანაგებს. გაზეთი იტყვის: „გერმანეთის მუშებს ძალა არ აქვთ, მაგრამ ბოლშევიკებიც რამდენჯერ გააფრთხილეს, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ. „Laipzig voksz“ სასტიკად ჰკიცხავს გერმანულ მილიტარისტ-ანექსიონისტების ზავს. „ნორდ. ფუ. ალგემ. ცაიტუნგ“ იღაშქრებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. გერმანეთმა ზავი იარაღით მოიპოვა. მართალია მან ომი მეფესთან დაიწყო, მაგრამ ბოლშევიკთა პრეტენზიებიც საშიშია და ამისთვის გერმანეთმა თავი უზრუნველ ჰყო, არა ქაღალდის ნაწევით, არამედ ნამდვილ გარანტიით. ვილჰელმი ლანდტაპუსთან გაგზავნილ დეპეშაში ამბობს, რომ მან სამუდამოდ იხსნა გერმანეთის სული ბალტიის მხარეში.

ალანდის კუნძულები

ალანდის კუნძულის მოსახლეობამ, ფინეთის სენატს, შვედთა მეფეს და გერმანეთის იმპერატორს განუცხადა რომ კუნძულების ბედი მომავალ კონგრესზე მცხოვრებთა ხმის უმრავლესობით უნდა გადასწყდეს. ამასთანავე მოითხოვენ დატოვებულ იქნას იქ შვედების დესანტი, როგორც გარანტია მათი ნეიტრალიტეტისა. თეთრ გვარდიელები მოითხოვდნენ რათა კუნძულელნი ჩაწერილიყვნენ თეთრ გვარდიაში, მაგრამ უკანასკნელთა ცივი უარი განაცხადეს.

ომი

გერმანელების შეტევა დასავლეთის ფრონტზე.

საფრანგეთის ცნობა.

პარიზი აპრილის 1. ოფიციალი. ბრძოლა მთელს ფრონტზე სწარმოებს. მონდიდეს ჩრდილოეთით, სადაც გერმანეთის არტილერია მეტად მედგრად მოქმედობდა, გერმანელებმა გრივილზე იერიშები მოიტანეს. მათი იერიშები მოვიგერიეთ. სიმმასა და ნუაიონს შუა სხვა და სხვა ადგილებში ჩვენმა და ინგლისელების ჯარებმა გამარჯვება ხვდათ. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არა მომხდარა. სენკანტენ ჟუისკარ-რაუიეს სადგურების მიდამოში ჩვენმა მფრინავებმა 5 ათასი კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაყარეს. შევმუსრეთ გერმანელების 9 აეროპლანი. იტალიელთა ჰაეროპლანებმა ამ უკანასკნელ დღეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ.

გერმანეთის ცნობა.

ბერლინი. აპრილის 1. დასავლეთის ფრონტი. სომის ჩრდილოეთით საღამოს საარტილერიო ცეცხლი გაძლიერდა. მდინარე ლიუკისა და ანკრის შუა ჩვენ იერიშებს მივყავს მტერზე. მორელის ჩრდილოეთით სიმაღლეები დავიჭირეთ. ავრეს დასავლეთით დავიჭირეთ ტყე არრასიე. უკანასკნელ დღეებში წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 75 ათასს აღემატება. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არა მომხდარა.

ბერლინი. საღამოს ცნობა. პირველი აპრილი. საფრანგეთის ფრონტიდან ახალი არა არის რა.

ახლო აღმოსავლეთი.

პალესტინის ფრონტი.

კონსტანტინოპოლი, ოსმალეთის ცნობა. აპრილის 1. მდ. იორდანის დასავლეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მტრის ძლიერი პატრულები ჩვენს თხრილებს მოუახლოვდნენ, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ. იორდანის აღმოსავლეთით მტერმა იერიშები განაახლა.

იაპონია და რუსეთი.

იაპონიის ელჩმა რომში განაცხადა, რომ იაპონიას სრულიადაც არა ჰქონია განზრახვა, ციმბირში ჯარის გადაყვანისა. იაპონია მოქმედობს მოკავშირეებთან ერთად საერთო ინტერესების წარსამართავად. იაპონია, ჩინეთი და შეერთებული შტატები ერთნაირად დაინტერესებულნი არიან რუსეთის ბედის გადაწყვეტით. გარეშე საქმეთა მინისტრ პიშონმა განაცხადა, რომ იაპონია მხოლოდ რუსეთის დაცვისთვის იმოქმედებს. დრომდე დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთის შინა საქმეებში არ ჩაერევა და მთელის ძალით გერმანეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ჩვენ მტრის ხელში ვერ დავარჩენთ იმ უდიდეს რესურსებს, რითაც მდიდარია რუსეთი და რაც ასე გააძლიერებს გერმანელთა ძალას“.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ბაქოს ამბების განხილვა.** მარტის 20-ს, საღამოთი მოხდა გაერთიანებული კრება ამიერ-კავკასიის მთავრობისა, სეიმის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლებისა. განხილულ იქმნა საჭიროდ ბაქოს ამბები და შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელთა განხორციელებაც მიენდო სამხედრო მინისტრს.

◆ **გლეხთა საქმეთა სამმართველოს გაუქმება.** მარტის 20-ს ამიერ-კავკასიის მთავრობის სხდომაზე დაადგინეს გაუქმებულ იქმნას მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და გლეხთა საქმეების სამმართველო, რომლის საქმეებიც სადგილ-მამულო კომიტეტებს გადაეცემა, ხოლო სადაც უკანასკნელი არ არსებობს—საგუბერნიო კომისარიატს.

◆ **საპარლამენტო დელეგაციის გაგზავნა ბაქოში.** ბაქოს ამბების ადგილობრივ გამოსაძიებლად თბილისიდან ბაქოში საგანგებო მატარებლით გაემგზავრა საპარლამენტო დელეგაცია, რომელშიაც შედიან: ტიგრანიანი (დაშნ.), მელიქ-ეგანიანი (დაშნ.), ონიაშვილი (მენშ.), მახმუდოვი (მუს.) და ჰაიდაროვი (მუს.).

◆ **საეკონომიო ფაკულტეტი თბილისის პოლიტეხნიკუმში.** 1918 წლის ენკენისთვის პირველიდან თბილისის პოლიტეხნიკუმში გაიხსნება საეკონომიო განყოფილება, რომელზედაც იქნება შემდეგი კათედრები: სტატისტიკა, პოლიტიკური-ეკონომია, საეკონომიო მეცნიერებათა ისტორიით, საყოველთაო ისტორია, აღმოსავლეთის ისტორია, სახელმწიფო უფლება, უფლების ისტორია და უფლების ენციკლოპედია.

◆ **უიარაღობა.** თბილისის საარტილერიო საწყობში იარაღის უქონლობის გამო ეროვნულ სამხედრო ნაწილებს იარაღს აღარ აძლევენ.

◆ **ახალი დროთაღრიცხველობა.** მარტის 20-ის სხდომაზე ამიერ-კავკასიის მთავრობამ მოიწონა ახალი დროთაღრიცხველობის კანონპროექტი, რომელიც ცხოვრებაში გატარებული იქნება აპრილის 1-დან; ეს დღე აპრილის 13-დ ჩაითვლება.

◆ **სახელმწიფო კონტროლიორის** ამხანაგად სახელმწიფო კონტროლიორის ჰაიდაროვის წინადადებით დაინიშნა ჯამბ-ბეგ-ვაზინსკი.

◆ **სეიმის სხდომა,** შაბათს, მარტის 24 მოხდება.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** მარტის 20-დან გაიხსნა ღვინით ვაჭრობა საგანგებო ბარათებით. თბილისში ღვინის შემოზიდვა თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად არ შეიძლება.

◆ **შუამდგომლობა სესხის შესახებ.** თბილისში ამ დღეებში ჩამოვიდა ქუთაისის ქალაქის თავი კალანდარიშვილი, რომელიც ქალაქთა კავშირის საშუალებით შუამდგომლობს ამიერ კავკასიის მთავრობის წინაშე მიეცეს სესხად 1 მილიონი მანეთი ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

◆ **შრომის რაზმები.** ოზურგეთიდან იტყობინებიან, რომ ოზურგეთის მაზრაში და ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებში სდგება საგანგებო რაზმები, რომელთა მიზანია დაამუშაოს ის მამულები, რომელთა პატრონებიც ბრძოლის ველზე არიან წასულნი.

◆ **ქალთა ბიუროს კრება.** კვირას, 25 მარტს საღამოს 5 საათზედ „ნაკადულის“ რედაქციაში შესდგება სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობის მომწყობი ბიუროს კრება. კრების საგანია: 1) შრომის კომისიის საინტენდანტოში მუშაობის შესახებ მოხსენება, 2) სრულიად საქართველოს ყრილობის გეგმის შემუშავებულ კომისიის მოხსენება 3) ომში დახოცილთა და დასახიჩრებულ ოჯახების თავშესაფარის მოწყობა. 4) მიმდინარე საკითხები.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართველ მხატვართა საყურადღებოდ.** ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს თბილისში მყოფ ყველა ქართველ მხატვრებს, მობრძანდნენ კრებაზე გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში, 22 მარტს, საღ. 6 ს. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

◆ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 5 ს., ქალთა უმაღლეს კურსებზე (ანასტასიის ქ. № 22), დანიშნულია ქართველ ქალების სანიტარულ რაზმის წევრთა საზოგადო კრება. ჩაწერილ ამხანაგებს ვსთხოვთ, კრებას უეჭველად დაესწრნენ. ლექციები დაიწყება 23 მარტს, 3—6 ს.

სოფ. რუისი

◆ სოფელში მეტად გავრცელდა შავი ყვავილი და სოფლე, რის გამოთაც ბევრი ბავშვები იხოცება. საჭიროა ექიმთა შველა.

ცხინვალის ამბები

როგორც სჩანს ცხინვალის მაზრაში მდგომარეობა უაღრესად გამწვავებულა. გუშინ წინ ღამ თბილისიდან გაიგზავნა 1000-ზე მეტი წითელ გვარდიელი ტყვიისმფრქვევლებით, ზარბაზნებით და ჯავშნიან ავტომობილით.

გორის მაზრის კომისარის გიორგი მაჩაბელის მოკვლის შესახებ გადმოგვცემენ, რომ ის გორიდან გაეშურა ცხინვალის მაზრისკენ 200 გვარდიელით. ცხინვალში ის მოუკლავთ სხვა გვარდიელებთან ერთად. მოკლული და და ჭრილია 50-ზე მეტი წითელ გვარდიელი. მეამბოხეთა ზარალი გაცილებით დიდია, მიუხედავად იმისა რომ პირველ ხანებში მეამბოხეთ უკეთეს პირობებში უხდებოდათ ბრძოლა ვიდრე გვარდიელებს.

როსტოვის ამბები

გუშინ წინ როსტოვიდან თბილისში ჩამოვიდა 150-მდე სომეხი, რომლებიც ამბობენ, რომ როსტოვში ცხოვრება, შედარებით უკეთესდება თან და თან. პური თითქმის სრულიად თავისუფლად იყიდება. პურის გარდა მრავლადაა სხვა სურსათ-სანოვაგეც. აქაური ბოლშევიკებიც ისევე იქცევიან, როგორც სატახტო ქალაქებში; ინტელიგენტებს ყველგან და ყოველნაირად სდევნიან და ავიწროვებენ. ბოლო დროს აუარებელი უმუშევარი ინტელიგენტი გაჩნდა, რომელთაც არსად არ იღებენ და ბოლშევიკები ადგილებს არ აძლევენ, როგორც „ბურჟუებს“. ბოლშევიკებთან ბევრი ტყვე გერმანელი მუშაობს, რომელთაც პასუხისაგებ ადგილებზე აყენებენ.

ანარქია ამიერკავკასიაში

განჯა. მარტის 19. საგამოძიებლო კომისიის თავმჯდომარისაგან ამიერ-კავკასიის მთავრობას: გუშინ სომხურ ეროვნულ საბჭოს ნებართვით მაჰმადიანები შეუდგნენ მაჰმადიანთ ახლო-მახლო სოფლებში გაგზავნას. ქალაქიდან გასვლისას ტრანსპორტს სროლა აუტეხეს. არის მოკლული და დაჭრილი. საგამოძიებლო კომისიამ სამხედრო მთავრობასთან ერთად დაინიშნა საჭიროდ ღონისძიება. მაჰმადიანთა წარმომადგენლები თხოულობდნენ, რომ განჯაში სეიმის დელეგაცია მოვიდეს ახლო-მახლო მცხოვრებ მაჰმადიანთა დასამშვიდებლად და მდგომარეობის გამოსაძიებლად. საგამოძიებლო კომისია იღებს ყოველგვარ ზომებს დამნაშავეთა აღმოსაჩენად, რომელნიც წესიერებას არღვევენ.

ქოქლიარი. მარტის 19. დამცველ რაზმის უფროსი ალიევი—ამიერ-კავკასიის მთავრობას. განჯისა და ტაუზის შუა მცხოვრებლები ჯავშნიან მატარებლის გამოგზავნას ითხოვენ ყაჩაღთა სადევნელად, წესიერების აღსადგენად და აგრეთვე გადმოხვეწილების-

თვის წართმეულ ქონების დასაბრუნებლად. დამნაშავეებს თვით ხალხი გასცემს· თუ ჯავშნიანი მატარებელი არ გამოიგზავნა ხალხი პასუხისმგებლობას აღარ იკისრებს.

ტაუზი. მარტის 19. ჯავშნიან მატარებლის უფროსი ა. გოგუაძე—შინაგან საქმეთა მინისტრს. ალ. ტაფის მშვიდობიანად მივაღწიეთ. ალსტაფასა და ტაუზს შუა სოფ. გოგჯალის ახლო დილის, დაახლოვებით 5 საათზე ყაჩაღთა ბრბომ სროლა აგვიტეხა. ლიანდაგზე მატარებლისთვის ყუმბარა დაედოთ, მაგრამ დროზე აღმოვაჩინეთ. ჩვენ რამდენიმეჯერ გავისროლეთ ყუმბარა და ტყვიისმფრქვევლები. მოკლულია ჩხაიძე და დაჭრილია გოგიტაშვილი. ბრბომ სიბნელით ისარგებლა და მიიმალა. ალსტაფაში მშვიდობიანად დავბრუნდით. ჩრდილოეთიდან ცხენოსნებმა სროლა აგვიტეხეს. ჩვენ ზარბაზნების და ტყვიისმფრქვევლების სროლას ვაწარმოებდით გზა და გზა. განჯისკენ რომ მივდიოდით კიდევ დაგვესხნენ თავს. ქვეითებმა იერიში მოიტანეს. რამდენიმე ყაჩაღს იარაღი აგყარეთ. ლიანდაგის იქით 2 ვერსზე გადავედით და რამდენიმე ასი მხედარი შევამჩნიეთ, რომელთაც თოფისა და ტყვიის მფრქვევლების სროლა აგვიტეხეს, რამდენჯერმე ზარბაზნებიც გავისროლეთ, ბრბო გაიფანტა, გზაში ტაუზსკენ ლიანდაგის ორივე მხარედან ჩვენ გვიშენდენ, მაგრამ მცხოვრებლების დაზიანებას გავურბოდით და ამიტომ არ ვისროდით. დავატყვევეთ 5 ყაჩაღი. რევოლიუციონურ წესრიგს ვადგენთ. ტაუზში ჩავედით და გზის გაგრძელებას ვაპირებთ.

—

ს. შინქალისი (კაჩოვკა თბ. მაზ., ბელი-კლიუჩის საზოგადოება). 17 მარტს ს. შენქელორის მცხოვრებთა მწყემსებს დაეცნენ დღისით თათართა შეიარაღებული ბრბო, წაართვეს ცხვრის ფარა და წაასხეს. მწყემსებმა აცნობეს საქართლო სოფელში ეს შემთხვევა, სოფლელები დაედევნენ უკან, დაეწივნენ და შემდეგ დიდის ბრძოლისა ცხვარი უკან გამოართვეს. ესეთი შემთხვევა პირველი არ არის ამ სოფელში. სულ სამი წელიწადია რაც ეს გლეხები გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან მენქალისში და არც ერთს წელიწადს არ ჩაუვლია მათთვის უზარალოდ. ყოველ წელიწადს რამდენჯერმე ჰპარავენ: ცხენებს, ძროხებს, ხარებს და ღორებს, ერთი სიტყვით, დიდს ზარალს აყენებენ ახალ მოსახლე გლეხებს.

ბაქოში

20 მარტს ბაქოში დიდი უბედურება დატრიალდა. ბევრია დახოცილი, უფრო კი თათრობა. ტყვე თათრებით სავსეა თეატრ-კინემატოგრაფები. ბოლშევიკებს მეზღვაურები დიდ დახმარებას უწევენ. ადგილობრივი ჯარები ბოლშევიკთა მხარეზე გადავიდნენ. ამბობენ რომ ამ უბედურების მიზეზი იყო ის, რომ 70-ამდე თათრის ჯარისკაცისთვის უნდა იარაღი ჩამოერთმევინათ. ისინი ზღვისკენ აპირებდნენ წასვლას, მაგრამ არ გაუშვეს, ეს იყო საბაბი დანარჩენ ამბებისა. იტყვიან, რომ ბოლშევიკებს მეთაურობენ: შაუმიანი, ჯაფარიძე, სუხარცევი. მათ ერთი ჯავშნოსანი აქვთ. სროლის დროს რბევა გახშირდა. ამბობენ, ახლა მოლაპარაკება გამართული მეამბოხეთა შორისო.

მარტის 21 დილის 6 საათზე პირდაპირი მავთულით იტყობინებიან: ბაქოში გუშინ ბრძოლა იყო. დღეს ბრძოლა აღარა ყოფილა, მხოლოდ კანტი-კუნტი სროლა ისმის. სამაგიეროდ სხვა ადგილებში მდგომარეობა რთულდება, „შავი ქალაქის“ მხრიდან დიდი სროლის ხმა მოდის. როგორც იტყობა „თეთრ ქალაქში“ ბრძოლაა. ბალახანიში თათრები [illegible]. სად. „ვშათზე“ მხოლოდ ნავთის სამრეწველოებიდან ყველა მუშები გამორეკეს. ესენი ბალახანიში გაიქცნენ ჯავშნიანი მატარებლის მფარველობით. შემდეგ სადგურზე მოვიდნენ მაჰმადიანთა წარმომადგენლები, რომლებმაც სადგ. „ილიჩის“ მოსამსახურეებს წინადადება მისცეს იქიდან გახიზნულიყვნენ. მოსამსახურენი ჯერ-ჯერობით არ გამოსულან. სადგ. საბუნჩაზე გუშინ მცირე სროლა იყო. სადგ. სურახანიდან არავითარი ცნობები არ მოდის; ხმებია, რომ იქ სროლაა გამართული, სალამიზე სადგ. საბუნჩიდან გვატყობინებს რომ დიდი ცეცხლის ალი მოსჩანდა, იწვოდა ნავთის სამრეწველო. შიგ ბაქოში სულ გადამწვარა მეთევზეთა ბაზარი და ერთი სახლი. ეხლა ბაქოში ბოლშევიკებსა და მაჰმადიანებს შორის მოლაპარაკებაა, რომელიც ჯერ არ გათავებულა.

ერევანი. მარტის 20. ჯავშნიან მატარებლის უფროსი ხუნგია ამიერ-კავკასიის მთავრობას აცნობებს: დღეს მშვიდობიანად ჩამოვედი ერევანში. აქ მივიღებ მუშებს და მასალას დანგრეულ ხიდების შესაკეთებლად. მოძრაობა აღდგენილ უნდა იქმნეს სადგურ არარატიდან. მივიღებ ყველა ჩემზე დამოკიდებულ ზომებს დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად. ხვალ, მარტის 21-ს, დილის 5 საათზე სადგ. არარატიდან მივალ იქით.

ერევანი. მარტის 20. მოგახსენებთ, რომ ქალაქთა კავშირის ადერბეიჯანის რაზმის რწმუნებული ბეჟუაშვილი, დღეს ტრანსპორტით მშვიდობიანად ჩამოვიდა კომარლიუში. ტრანსპორტში 400 ცხენი ხალხისა და მთელი ქონების გადმოსაზიდად. საჭიროა ასი ვაგონი, რის გამოსაგზავნადაც გთხოვთ ბრძანება გასცეთ. გთხოვთ აგრეთვე განკარგულება გასცეთ თავისუფლად გაატარონ ეს ტრანსპორტი თბილისისკენ.

აჯიკაბული. მარტის 20. ჯავშნიან მატარებლის უფროსი გოგუაძე იტყობინება, სად. აჯიკაბულამდე რევოლიუციონური წესრიგი აღვადგინე. ზიატხანოვის დახმარებით ყველა სადგურებზე სასოფლო ყრილობებს ვიწვევდით და განუმარტავდით მატარებლებზე, მცხოვრებლებზე და მოსამსახურეებზე თავდასხმების მავნებლობას რევოლიუციის საქმისათვის. ამან დიდი გავლენა იქონია.

† ფრანკ ვედეკინდი

გულდასაწყვეტი ამბავი მოვიდა: 54 წლის ფ. ვედეკინდი მარტის 9 მიუნხენში გარდაცვლილა. მარტის 9. რა საგულისხმოა ეს მისი გარდაცვალების რიცხვი; იგი გვაგონებს მთელს მის არსებობას.

მარტის 9! ეს ხომ ის წუთებია ჩვენს პლანეტაზე—პაზუკი, გრძნობად ნაძლევი ლადი და წარსულის არ მცნობი გაზაფხული:—წელში გატეხილს, გრძნობა ჩლუნგს და მოგონებით დატვირთულ ოდნავ მხეტიარე ზამთარს რო ემიზეზ.

ვედეკინდის „მე“ ყოფნაც ხომ ეს ბრძოლა იყო—ბრძოლა ჩვეულებებით გადაცვეთილის, ტრადიციების და ჩვეულებათა არ მცნობის პ[illegible]უკისა.—ყოველ-გვარ „წინ დახედულებათა“სთან.

მისი ნაცნობი და მეგობარი ასე გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მასზე ვედეკინდმა: „რამოდენიმე წელს ვცხოვრობდი საზღვარგარეთ, სადაც ვხვდებოდი მრავალ გამოჩენილ მწერლებს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ახდენდა ჩემზე ისეთს ძლიერს შთაბეჭდილებას „თავისობით“ როგორც ვედეკინდი“.

ვისაც სურს ვედეკინდი გაიგოს—მან უნდა წარმოიდგინოს ისეთი ადამიანი რომელიც ამ ქვეყნათ არაფერს არ ემორჩილება. „amor fati“ მისი დამახასიათებელია მუდმივი, განუყოფელი სტუმარი კაფე რესტორანების, სულის ჩამდგმელი cabare.

სამშობლოში ერთ ხანს იგი „ავანტიურისტად, ცინიკად და გათახსირებულად“ იყო მონათლული. ალბად იმიტომ ბრბოს ძახილს რომ ანგარიშს არ უწევდა. კრიტიკოსთა მიერ გვიანიან დაცინვებს თავის ნაწერების ეპიგრამულად იყენებს. მისი მოქმედება და შემოქმედება დემონიურია ისე, ვით მისი გამოხატულებანი. კავშირი მისი როგორც ცხოვრებასთან, ადამიანებთან აგრეთვე თავის თაყვანისცემელთა ზიზღით შეფერილია დაცინვის რგოლით გამოწვეული. მრავალ შემთხვევათა განმცდელი (სხვათა შორის: იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში) მხიარული მოსაუბრეც იყო ცნობილ ნაცნობებში.

სხვათა გამრთობი, თვით მუდამ გაურთობი იყო. სულით ობოლი ცხოვრებაში უაზრობის მეტს ვერარას ხედავდა და ეს ფულით უნდო და რწმენა გაზრდილი არსება ვედეკინდი დღეს აღარ არსებობს.

ბენო გორდეზიანი.

კორესპონდენცია

ზემო-იმერეთი

ქ. ჭიათურა. ცხოვრება უმეტეს წილად გაჭირვებაში გვიტარდება. ამ მხრით ჩვენ ვიხსენებოდით შინ და გარედ, მაგრამ ახლა, რომ გაჭირვებული გართ იგი ჩვენივე მოუზრახდებლობისა გამო ამ დროისთვის ეს ყველასათვის ცხადია, რასაც უკიდურესობამდე მიგვიყვანით და გამოსავალ გზას ვერა ვხედავთ. სოფელი ბაზარს ჩამოშორდა, ვითომ და იმ მოსაზრებით, რომ სოფელში უფრო გაჭირვებულნი არიან და სოფლის საზრდო სოფელს დარჩესო. ქალაქზე არა ზრუნავენ. ამავე დროს კი ჩემი ვაჭრობაა სოფელსა და ბაზარს შუა გაჩაღებული. აქ და დამშეულთა სოფელი ბაზარში ჩუმად შემოტანილ სიმინდს ერთ ბათმანს 30 მ. ყიდის.

კოოპერატივებზედ დამყარებულმა იმედებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ერთი მით, რომ მათ საქონელი მაშინაც ვერ მოგვაწოდეს, როცა მას მშვიდობიანი სავალი გზები ჰქონდა და მეორეც მით, რომ, ამ დაწესებულების მაღაზიებში თუ იშოვიდით კარტოფილს, ზედ ტარანს დაგიწონიდენ, შაქარზედ მარილს და ბრინჯზედ კიდევ ხახვს, აქაო და ზარალი გვაქვს, საქონელი უნდა გავასაღოთო. ზარალი კი გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ დარგს ამ საჭიროებას იძენდნენ მაშინ, როცა იგი ამოდიოდა სიიაფისა გამო და ან გაყინული ლპებოდა.—ამის გამო, რა თქმა უნდა, მათი ვაჭრობა დაზარალებული წვრილმან კოოპერატივებზე, რომელიც გამოიწვია საზოგადო უვიცობამ, რაც უნდა მიეწეროს მოუმზადებლობას ვაჭრობაში და აგრეთვე ვაჭრობის მეტადრე პირთა დევნასა და ზურგის შეჭყლვას. თუ ოდესმე გძელ კუდებს დავსწრებივართ, ამჟამად კოოპერატორთა თავებსაც ვნახავთ ვიპოვით. ძალა ამ მხრით თანდათან დაკნინდა და სვებედი მათი მცირე წლოვანობა ხელში გადმოვიდა, რომლებმაც ეს დუქნები სალამზანდროდ გაიხადეს.

ამ ნაირად ქალაქის მცხოვრებთა საჭირო საგნების მიწოდებაზე ზრუნვას ჯერ არვინ კისრულობს. კარგა ხანია ბაზარი ჭიათურისა ქალაქად მოგვწყო, მაგრამ მის მმართველობას ჯერ საქმისთვის არ მიუცლია. მცხოვრებთ არ აქვთ სანოვაგე, არ არის განათება და უწყალობამ აქა-იქ კიდეც სანიტარული წესი დაშალა.

მობილიზაციის წესიერად მიმდინარეობამ მოლოდინს გადააჭარბა. ჯარის კაცი სამხარ ასპარეზზე დღეს უფრო ადვილ მიისწრაფვის, ვიდრე ეს ნიკოლოზის დროს იყო. მაშინ თუ უწესოებას ჰქონდა ადგილი, მეტს ტიტულსა და ლრიანცელს, დღეს ყველას მხიარულება ეჩხრება—რითაც, ფრთხილო, მტკიცდება სიყვარული დღემდის დაკარგული სამშობლოსი. დარწმუნებული ვართ, გამოცხადებული მობილიზაცია ასევე გაგრძელდება, რომ მას აქა-იქ ხელს არ უშლიდეს მოწყობილი ყაჩაღი-ჯარისკაცებისა,-რომელთა ყოფა-ქცევამ წარყვნა ქვეყანა დიდებული, გადაჰკვეთა ბევრი ერს და მათმა ფეიცხმა ფედერალით თოფების სროლამ შეაშინა ყველა.—მიაქვთ ომისთვის აუცილებელი საჭირო საგნები: თოფები, პატრონები, ყუმბარები, კარვები, ქვაბები, საცვლები, უნაგირები და ვინ მოსთვლის რამდენი რამე. გასაკვირია გამოულევლი მისვლა-მოსვლა მათი და ამგვარი ნივთების შოვნა. შეძლებისადაგვარად ბევრს ერთმევა წამონაღები, ბევრი კი მშვიდობიანად მიეზიდება შინ. ეს ბადებს ურთიერთშორის არევას, ჰქმნის უსამართლობას იმ მხრითაც, რომ ერთის და ორის დამუქრებით ადგილობრივი ძალები გვარდიას იწვევენ იქ, სადაც იგი არავითარ საჭიროებას არ შეადგენს.

გალ. ქავთარაძე.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

თბილისის მოქალაქემ ვიქტორ დარისპანის ძე კერვალიშვილმა გამოუწერა ამა მიმდინარე 1918-ის წლის განმავლობაში მრავალძლის ორკლასიან სასწავლებელს თქვენი გაზეთი „საქართველო“, რომლის მორიგი ნომრებიც თავთავის დროზე მოსდის ხსენებულ სასწავლებელს. გულითად მადლობას ვუძღვნი პატივცემულ ვიქტორ დარისპანის ძეს კერვალიშვილს მთელი მრავალძლის მკვიდრთა სახელით ამ კეთილშეწირულებისათვის.

მასწავლებელი

მელიტონ სხირტლაძე.

კალენდარი

ხუთშაბათი, მარტის 22

მე-18 დღე დიდი მარხვისა.

ქართვ. წმ. ვასილი მღვდელისა ან კვირიელისა.
კათოლ. წმ. პაველისი და ოქტავასი.
მაჰმად. პიანჯ-შამბე 21 რ. ჯემადულ-ლახირ 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. იომხამიშ 21 რ. ნისანი 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

თეთრი ზამბახი

(შემდეგი *)

XXVII

ის-ის იყო მერისთან შესვლას აპირებდა, რომ უეცრივ კარი გაიღო. შეკრთა. [illegible].

— ვინ არის?

— ვერ მცნობ?!

— მალი, თქვენ... ასეთს დროს...

— ჰო, მალი ვარ...

წელში გასწორდა. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. ვიდრე მისალმებოდა, ლელომ ელექტრონის ღილს მიაწვა, ოთახი გაანათა.

— სასიამოვნოა, რომ მოხველით... მერიც ეხლავე მოვა...

იდუმალ შიშით, თითონაც არ იცოდა რატომ, ხელი ვერ გაუწოდა, პირდაპირ მერის მიაშურა, მაგრამ მალიმ შეაჩერა:

— მოიცა, საჭირო არ არის მისი გამოსვლა. სადარბაზოდ არ ვარ მოსული. რას აკეთებს?

— სძინავს... წეღან ცოტა შეამცივნა, მაგრამ გაუხდელია. წავიდე...

— არა, ასე სჯობს-მეთქი! მისი მოწმობა არ მჭირდება.

— მალი, თქვენ...

მალიმ თითი ასწია, თვალი თვალში გაუსწორა, თითქოს საომრად განეზრახა. ლელოს ხმა ჩაუწყდა. საშინელ წინათგრძნობით თრთოლვა დაიწყო.

— ეხლა, მეგობარო, უმესაველოდ მსურს განგიცხადო ჩემი აქ მოსვლის მიზეზი: შენ დავალებული ხარ: სიყვარულს ვითხოვ!..

ლელო გაფითრდა. ზარდაცემული წატორტმანდა. თმა აებურძგნა.

— მე თქვენ... თქვენ მე...

— აჰ, ახლა უქმ შორისდებულებით ნუ გამიწყალებ უბრალოდ გულს. ცხოვრებაში მოფილოსოფოსე სულელად ნუ დარჩები ბოლომდისინ, როგორც უბადრუკი დანიის პრინცი. ამ მახანჯი შთაბეჭდილებით მაინც ნუ გამისტუმრებ. შენთვის ჯერჯერობით ისიც იკმარებს, იცოდე, რომ ასეთს შემთხვევებში, როცა საკითხი სიყვარულს ეხება, სისულელე და სიბრძნეც ერთგვარი ფასის საქონელია, როგორც სიდარბაისლე და თავხედობა.

— საშინელებას ლაპარაკობ...

— მაგრამ არც ისეთს, როგორც უჩვეულო შენს თვალებს მოჰლანდებია. აბა შემოხედე, გულს დაუხმე და ის გეტყვის ყოველი ფერს.

მკვეთრად თვალები შეუხნათა. მის სიტყვებს ფოლადის ნაპერწკლები სცვიოდა. ელვის სისწრაფით თავით ფეხამდე შეჭურვილი ფარული ვნებას, რაინდად იქცა: არ იფიქრო, ვითომ ბრალსა გდებ, არა, ვიცი, რომ შენც იმითივე მოხვეჭილი ხარ შაბლონისა და ტრადიციებისა, როგორც მე. დაგავიწყდა, რომ საზოგადოება საფლავია, პირდაპირ კუბო. ვინც მას ეკუთვნის, იგი საფლავს ზურგით ატარებს, სიცოცხლითვე კუბოში წვება. ამის არავითარი დამტკიცება აღარ სჭირია. მეც შენსავით ბრმადა ვწვებოდი ამ საფლავში, ცოლქმრობის პირობა ერთგვარ სიბრძნის ქვად მიმაჩნდა, როგორც აურიცხველი სხვა დოგმები საზოგადოებრივ ჩვეულებებისა. მე მას დავემონე, გუმბად მაზში რაღაც უმადლესს, მოუწლომელს. გეგმ ამ ძიებაში მთელი უდაბნო გადამალახეინა, გრძნობათა შიშველი ფეხით განვლიე ნაკვერჩხლებით მოფენილი ქვიზნარი და, აჰა, როცა დრომ დაჰკრა და ვიპოვნე, მაშინ დავრწმუნდი, რომ ქვა-ეგი სიბრძნისა სისულელე იყო და გარეჯად ოდნავად არა ჰღირდა, როგორც უბრალო ლვარძლისთვის თავის განწირვა. შენ კი, შენ... ქედი დახარე, გაქცეული ნაძლევის შენს ღვთაებას და სრულიად უდრტვინველად უცხო ქალთან ცოლქმრობის საზღვარის ბუხჭალტერიას ხელი მოაწერე. წინადადებას გაძლევ: დაიწყე ის, რასაც ეთაყვანებოდი და თაყვანი ეცი იმას, რაც რაც დაიწყე უკანასკნელის გაღმერთებამდე.

— საშინელებას ლაპარაკობ...

— თუ ასე არ იზამ, მაშინ შენთვის, როგორც ყველა მომაკვდავისთვის, სიყვარული მხოლოდ პატარა ამური ყოფილა, ანდა ფრთოსანი მოზვილდოსრე პატარა გოგონა, რომელთა დაწყნარება თხილითა და ტკბილეულობით შეიძლება. სიყვარული კი, ოჰ, ის ებრაელთა სასტიკი იეღოვაა, რომელიც ელვით მეხს სტყორცნის, ვინც კი მის სამეფლოში ფეხს შესდგამს.

— სიზმარი... ის საშინელი სიზმარი... აცხადდა... აჰ!—წაიბუტბუტა თავისთვის ლელომ და შემდეგ ვედრებით დაიყოლა: მერე და მერი?!

— დასწყევლე მეთქი! მე უბრალოდ რომ გეთქვა, ერთგვარი დეკორაცია იყო შენს ცხოვრებაში, რომელიც მცირე პაუზისა და ანტრაქტების დროს უსათუოდ გამოცვლას ითხოვს.

— ცინიზმი! ცინიზმი!.. ის თავს მოიკლავს... ვერ აიტანს საშინელებას!..

— ეგ სულ ერთია, ჩვენი სიყვარულისთვის! ოჰ, სიცოცხლისათვის [illegible] ფრთითა აშართვა, არა იმიტომ, რომ მის მიღწევის დროს საშიშროებას და შემაძრწუნებელს და დაბრკოლებით გაექცე საიდუმ, არამედ მათი ძიება, გამოქოლვა და შეტაკება, მათს სისხლსა და ცხაურში ამოვლებულ დროშის აფრიალება,—აი ლტოლვების დღესასწაული! აი, სიცოცხლის ფანტაზიის ლურჯი სიმბოლო! მე მერჩივნე ერთხელ ღირსეულ რაინდულ მსურს, გაიგე, მსურს ერთხელ მაინც მიხილონ ხები ყოფის ბნიურ მწვერვალზე, შეუძლებელი შეუძლებელი! არტისტს, ხელოვანს, შემოქმედს მომაკვდავთაგან იმით ვარჩევთ, რომ მათ სწორედ შეუძლებლობის უფსკრულთა მშვენიერება ლანდად დასდევთ. შენ კი დღემდე არა შექმნია ეს გრძნობა, იმიტომ რომ... საფლავში იდევი... საზოგადოებისაგან გათლილ კუბოს ზურგით ჰზიდავდი! მაშ ადექი! მაჩვენე ერთხელ შენი ძალა, მაჩვენე უზენაეს წუთების გამგებლად და მაშინ გიწამებ მერით,—კაცად, ზეკაცის სახედ, მაშინ გიგულებ შენსა მხევლად და ფეხის მტვერსაც, ვინც რომ იღვიძებს ღმერთთა შესაშურებულს თავ-შესაფარს განსასვენებელს!

ლელოს თრთოლვამ უმატა. ნესტოები გაუფართოვდა. თვალები დაეჭყიტა.

— მალი, მალი!—წაილუღლუღა სასოწარკვეთილებით: ის თავს მოიკლავს... შეიბრალე... ასეთ სწირავ...

— ეგ სულ ერთია! დაწვი, ვიდრე ეგ მოასწრებდეს ბედნიერების კოშკიდან შენს გადმოგდებას და დამსხვრევას.

— აჰ, ყველა სიკეთესთან ერთად საზიზღარი მენადაც გამხდარხარ—კბილების ხრჭიალით ხმიოძაბა ლელომ და მუშტები დაჰკუმშა.

— დიახ, მენადად, რომ მზის ნელთბილს სხივებში ვიბანო შენთან ერთად! გამიგონე, ლელო, თავს რად იტყუებ, შენ ეხლა ბაძავ იმ სალოდავს არაბს, ვის შესახებაც ამბობენ, წყურვილის მოსაკლავად უდაბნოში ცხელ კენჭებს ყლაპავა დაუწყო და წარმოიდგინა, ვითომც ფინიკის შტოებს შეექცეოდაო. რატომ არ იცი, რომ არც ერთი მერი ვერ გაგიწევს შენ ფინიკობას? ისიც იგივე ქვიშნარით აღვსილი გახურებული ქვაა, რომლის ჩაყლაპვა გულგამს დაგწვავს, ვერ მოინელებ... საბრალო ბავშვო, ჩემო გამოტანჯვით შენ აგე სიყვარულის კოშკები, როგორც დანტემ ბეატრიჩისთვის ოცნების ვარდნარი სამოთხე და საბოლოოდ უცხო ღვთაება შეიწყნარე სიყვარულ კერპად! დაგავიწყდა, რომ სიყვარულის ფილოსოფია პლატონიზმის მანტიას კი არ ეძებს, არც თუ დანტე ბეატრიჩეს ლაჟვარდოვან და ვრილს სამოსელს, არამედ შმაგურს, ნებისყოფიდან ცეცხლად ფრქვეულ ვნებათა კოცონს, თუ გნებავს სიხელეს და გატაცებას ტაროელ-ნესტანდარეჯნულს, რომელთაც ავაზის თვალები უბრწყინავდნენ და არა დამთი გამომკრთალი ცვილ სუნელას ჩირაღდნები. ხომ გახსოვს, რა სთქვა გოეტემ: „ემზგავსეთ ღმერთებსა და მხეცებსაო“,—ყოველ შემთხვევაში ამისი მზგავსი რაღაცა სთქვა, რაიც, ჩემის აზრით, ვითომ და შენს საყვარელს ნიცშეს ფილოსოფიას ეკუთვნოდეს დედო. შენ ერთხელ ამაგე წარმართული ტაძარი. ელინიურს საკურთხეველზე მარმარილოს ქანდაკი დასდგი, მაგრამ ქრისტიანთა ანგელოზი გამოაფრინე და ტაძარი დიდებისა დამცირდა, დაცარიელდა... გაჰქრა კლასიკური პროფილი და მოქანდაკოებიდი სიმაღლეც ძველი ღვთაების, გაჰქრა მშვენება მის სისრულის და მის მაგივრად სუსტი, ქრისტიანული ქონდრისკაცობა აღამაღლე, მით შეჰბორკე თვით ბუნება, ვით საშუალო საუკუნის უმაქნისმა მეუდაბნოემ ცით მონიჭებული აპოლონ ფიზიკური პაიაკოვანობა! მერე და რად ჰქენი ასე? მე ხომ შენს ხელთ ვიყავი. რად გამოშვი, რატომ დამკარგე? რატომ არ მაჩვენე მამაკაცად, შის ნებისყოფად, რომ გადასრისნა ტრადიციების პალოზე მიბმული ცხრა თავა ვეშაპი, გამოგეტაცნა მის პირიდან, რომ დავეხოსბილიყავი შენს წინაშე, დამეკოცნა შენი მკლავები, მელოცნა შენზე როგორც მხევალს. და აი, ის, რაც შენ ვერ შესძელ, მე შევძელი... ყური დამიგდე... გეგე... შენი მძლავრი მეტოქე... ხელს არ შეგიშლის...

— როგორ? მოჰკალი?

— ნუ შფოთავ, შიშმა თვალები ეგრერიგად ნუ შეგიმღვრია. სოფლავით აღდგენის დროს ის მიწას მოჰყვა... ჩამოხშობილია... ეხლა მე და მის შუა უფსკრულია... შენ გული მპოლოდ...

— რა საშინელებას ლაპარაკობ,—ლელომ თვალებზე ხელი მიიფარა, ქვითინი წასკდა, როდის-როდის მოიბრუნა გული: არა, გგონებ მცდი... ეს ასე არ უნდა იყოს... შენ ხომ მოსიყვარულე გული გქონდა... მაშ რატომ მტანჯავ? თუ რომ გიყვარდი, შეგეძლო ჩემთან ერთად ცხოვრების კაფეა, რად ამიყვანე გოლგოთაზე? ხომ იცოდი, რომ მიყვარდი. შეჰხედე ამ უფსკრულს, რომელიც გვეღობულია უძილო ღამეების სისხლისთა, როდესაც თვალთაგან სისხლი დგართოფდა მოსკვდებოდა და ხსნა არ სჩანდა. ღმერთო ჩემო, ტკივილებს საკუთარ ფარხილებით ვიკურნებდი, გულს ვიკაწრავდი. რამდენი ვ ტანჯე, რამდენი ვიკვნესე სასოწარკვეთილების მწვერვალებზე, მაგრამ განა შენ შეიწყნარე ჩემი აჯა? განა შენ შეიბრალე ეკლის გვირგვინქვეშ გაფითრებულ მომაკვდავის ნაკაწრი სახე, რომლისაც გვერდის გასაგმირად შენი სიკერპე დარაჯად უდგა ლახვარით? რამდენჯერ მაგიტანა ამბავი შენმა დაროზმა ჩემს კუნესაზე, ჩემს ყვედრებაზე. იცოდი, ვკვდებოდი, შენის დაკარგვით ვკარგავდი ჩემს ვარსკვლავსაც, რომელმაც ამონათება სრულად ვერ მოასწრო და ჩაიფერფლა, მაგრამ როდისმე მოინდომე ჩემი აღდგენა? და აი, როცა შენგან შეგინებული, შეურაცხყოფილი, გაწბილებული, შენზედაც მაღლადად გამოთიბული ვარსკვლავს ხელნი წივაპყარ შველად, როცა ამ უკანასკნელმა შემოგვდო და შემიწყალა, ქედი მომაცრემლილი გამომრთველა, წამომაყენა, შენ... მოხველ და... ძველს იარებს კვლავ პირსა ხსნი? უდიერობაა ეს და სხვა არაფერი.

— აკი გითხარი, ბრალს არ გდებ, რადგანაც ორთავეს დანაშაული საზოგადო საფლავი იყო მეთქი!.. მეორეც, შენ არ გინდა იცოდე, რომ შენთვის თავი სრულებით არ დამინებებია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ შენი კალამი ჩემით არ ილაპარაკებდა. რა ხარ შენ უჩემოდ? არაფერი! რომელი მერი გაგიწევს ჩემს მაგიერობას, როდესაც ყოველ კუნჭულში მე ვეფინ, იქიდან გიხვრ? ვინაა ზეშთამაგონებელი, რომ უკვდავ ხელოვნის სახელს გიმკვიდროს? იქნება მერი? მაგრამ სადაა, რომელი სურათიდან მეტყველებს იგი? იქნება „სიცოცხლის აზრის“ უფსკრულიდან? ან იქნებ მერიმ შეგაქანეს ის დიდებული თეორია, რომ „ბედნიერების მოსაწყვეტად საჭიროა დიდი ხელები?“ ოჰ, რა ადვილი ყოფილა კანონმდებლობა, რასაც თვითონ კანონმდებელი ყოველ წუთში ათასჯერ არღვევს! მეკი მაგ თეორიამ მიმაგნებინა ჩემი ხელები! ოჰ, რა ძალოვნათ გადმოვაგორე საფლავის ქვები! აბა, შეხედე ამ თითებს! როგორი პრომეტეს? შეძლებენ თუ არა, ისეთ ადამიანის ნებისყოფის გარდატეხასა, როგორიც ეხლა ლელო არის?

— თუ აგრე ჰფიქრობ, დიდად სცდები!

— მართლა? მაშ ვცადოთ!

ხელები წაატანა, უნდოდა მოჰხვეოდა, მაგრამ ლელო უკან გადიქცა და პირზე ხელი აიფარა.

— არ მომეკარო, არა, არა, თორემ...

მალი განზე გადგა, უყურა, უყურა და უცებ სარკასტულად გადიხარხარა:

— სულელო, განა ჰგონია, რომ ჩემი თითების ენერგია [illegible] დავეხარჯო? ან იქნებ გგონია, ყვირილს ავტეხ, რომ მერის მოვუხმო და ვაჩვენო, როგორ მოგკალი? ნუ გეშინიან! თვის დროზე ისიცა ნახავს და ცხედრის გამოტირებას მოახერხებს. ამიერიდან შენში კვდება შემოქმედება. შენ უკვე დაშლილი დიდების ტაძარი ხარ, რომლის აგება-დამთავრებას ვეღარ მოასწარ. ამიტომაცაა, რომ გაუდაბნოებულს შენს ნანგრევებში ეხლა დამურებმა დაიბუდეს, სადაც ძლევამოსილ ღმერთის ქანდაკი უნდა გვდგომოდა. ეხლა-კი, adieu mon cher ami, tout à vous!..

ისე გავიდა რომ კარიც კი არ მიიხურა. განადგურებული ლელო უძრავად იდგა. ვერც კი შეჰნიშნა, რომ შიშით მუშტის ოდენად მოიკუმშა...

დ. კახიძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „საქართველო“ № 62.

„[illegible]“-ს „კოოპერატიული გამომცემლობის“ [illegible] 4.